ვის კისერზეა სოხუმის დაცემა - სამხედროების თუ პოლიტიკოსების? A2

"დაიწყო შეტევა განსხვავებულ აზრზე" A3

ულტიმატუმი - ბაღდადს A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 29 სექტემბერი, 2002 წელი. №119

ფასი 50 თეთრი

„AES თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმე გაიხსნა

დანაშაულის მოტივი ჯერაც უცნობია

სოფიკო ჩხაიძე

ბოლო ხანებში მომხდარ მკვლელობათაგან ყველაზე საიდუმლოებით მოცულად ქართველი სამართალდამცველები "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობას მიიჩნევდნენ. დღეს კი შეუძლიათ იმის თქმა, რომ 13 აგვისტოს, ღამით ჩადენილი მკვლელობა გაიხსნა. მიუხედავად ამისა, უკვე გახსნილი მკვლელობის მოტივები, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ ამ დანაშაულის ირგვლივ, ახლაც ბურუსითაა მოცული.

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რაც გამოძიებას საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ ორი დღის წინ დაკავებული დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე ნიკა ლომინაძის მკვლელია, მკვლელობის ადგილიდან ამოღებული ტყვიის გულისთვის ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნები გახლავთ. მტკიცებულება უეჭველია, მით უმეტეს, რომ ქართველი ექსპერტების დასკვნა ანკარიდან ჩამოსული FBI-ის ექსპერტების დასკვნამ გაამყარა, ორი დღის წინ კი, FBI-ის ვაშინგტონის ოფისიდან თბილისის პროკურატურაში საბოლოო დოკუმენტი მიიღეს. ამერიკელი სპეციალისტების აზრით, შეცდომა გამორიცხულია - ტყვია, რომელმაც ნიკა ლომინაძე გამოასალმა სიცოცხლეს, დავით მჭედლიძეზე გაპიროვნებული "მაკაროვის" სისტემის სატაბელო პისტოლეტიდან არის ნასროლი. ასეთი მამხილებელი საბუთი ქართველ გამომძიებლებს ეჭვების საფუძველს უსპობს. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ისინი ცალსახად ვერ საუბრობენ დავით მჭედლიძის ბრალეულობაზე:

"მკვლელობის იარაღი ნიკა ლომინაძის გვამის აღმოჩენიდან რამდენიმე დღეში დადგინდა, როცა ქართველი ექსპერტების მიერ ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა მივიღეთ. იარაღის

გაგრძელება A4 გვერდზე

ეჭვმიტანილის და ადვოკატის დიალოგი სასამართლომდე.

იური ლოგაშვილის ფოტო

ნატო-ს წევრობისათვის საქართველოს სურვილი უფრო მეტი აქვს, ვიდრე შესაძლებლობა

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ყველაზე საკვანძო მომენტში, თბილისში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრები იმყოფებიან. ნიშანდობლივია, რომ "როუზ-როისის" სახელით ცნობილ სემინარზე, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირველად ტარდება, მთავარი აქცენტი სწორედ რეგიონულ უსაფრთხოებასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კონფლიქტების მოწესრიგების პერსპექტივაზე კეთდება. შაბათი, სემინარის მეორე დღე, კი საქართველოს სამხედრო ძალებში მიმდინარე რეფორმას მიეძღვნა. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე კიდევ ერთხელ გაცხადდა, საქართველოს სწრაფვა, გახდეს ალიანსის წევრი. თუმცა ზოგიერთი წინგადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებას სურვილი უფრო მეტი აქვს, ვიდრე შესაძლებლობა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საქართველო ჯერჯერობით ერთადერთია, რომლის საკანონმდებლო ორგანომ უკვე მიიღო დადგენილება საქართველოს ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრირების დაჩქარების შესახებ. ერთი თვის წინ კი საქართველოს უშიშროების საბჭომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების თაობაზე სპეციალური პროგრამა დაამტკიცა.

თუმცა, დეკლარირებული პოლიტიკური პრინციპების გარდა, ნატო-სკენ მიმავალმა საქართველომ პარალელურად რამდენიმე აუცილებელი პირობა უნდა შეასრულოს: საჭიროა სამხედრო ძალების საკადრო და სტრუქტურული რეფორმების დაჩქარება, არმიაზე დემოკრატიული - სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება, ბიუჯეტის გაზრდა ახალი პროგრამების დასაფინანსებლად და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა,

გაგრძელება A3 გვერდზე

ვის ემუქრებოდა პუტინი 11 სექტემბერს?

ზოთა უტიაშვილი

ყველას კარგად ახსოვს რუსეთის პრეზიდენტის მიერ 11 სექტემბერს გაკეთებული განცხადება, რომელშიც იგი პანკისში ჩეჩნების მსხვილ ბაზებსა და შეიარაღებულ რაზმებზე თავდასხმით იმუქრებოდა. მაშინ მან გენშტაბის უფროსს, კვაშნინს დაავალა, დაეზუსტებინა ინფორმაცია საქართველოში ჩეჩნების ადგილსამყოფელის შესახებ და მოემზადებინა მათ წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის გეგმა. რუსული პრესის ცნობით, კვაშნინმა ორ-სამ დღეში მოამზადა ამგვარი გეგმა, სადაც დეტალურად იყო აღწერილი გელაევის და სხვათა რაზმების ბანაკების ადგილმდებარეობა.

გუშინ, გალაკტიონთან მიმდინარე ბრძოლებისას დატყვევებული ჩეჩნების ჩვენებებზე დაყრდნობით, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ფრიდინსკი აცხადებს, რომ გელაევის რაზმი პირველი სექტემბრის შემდეგ რუსეთში იმყოფება. რაზმი ჯერ ჩრდილოეთ ოსეთში დაძრწოდა, შემდეგ ინგუშეთში გადავიდა. რუსული წყაროების ცნობით, მათთან ერთად, რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა კიდევ ერთი დიდი ჩეჩნური შენაერთი, რის შემდეგაც, როგორც ჩვენი შსს აცხადებს, პანკისში ჩეჩენი მებრძოლები, ფაქტობრივად, აღარ არიან.

თუ რუსეთის პროკურატურა მართალია, და ჩეჩნები, პირველი სექტემბერიდან მოყოლებული, რუსეთში არიან, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ვის ემუქრებოდა პუტინი და კომპანია 11 სექტემბერს, ან საიდან ღებულობდა საქართველოში გელაევის ყოფნის უტყუარ მტკიცებულებებს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი?

სხვათა შორის, კვაშნინის "ვაჟკაცური" გამოსვლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო გეგმის არსებობას კატეგორიულად უარყოფდა მისი პირველი მოადგილე. ლოგიკურად, მას უნდა დავეთანხმოთ, რადგან რუსებს, თუ არ ჰყავდათ სამიზნე ობიექტი, ვერც საბრძოლო გეგმა ექნებოდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ისრაელმა სომხეთს ბოდიში მოუხადა A3

აზერბაიჯანი ევროსაბჭოდან სომხეთის გარიცხვას მოითხოვს A3

"დადგენილებათა ჭიდილი" პარლამენტში A3

ლორდთა პალატის წევრი "თავისუფლების ინსტიტუტს" ეწვია A4

შსს-ს გენერალურმა ინსპექცია ზუგდიდელი პოლიციელების საქმეს იკვლევს A4

"რუსბრენდი" სავაჭრო ნიშნებს "გაქაჩავს" A4

ბრაზილია ახალი კრიზისის მოლოდინში A4

ამინდი

თბილისი	28
ქუთაისი	30
ბათუმი	27
სოხუმი	28
ფოთი	28
თელავი	27
ზუგდიდი	30
გორი	25

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1750
ევრო	2.1267
გირვანქა სტერლინგი	3.3876
რუბლი	0.0688

საპენსიო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სამიტი საპროტესტო აქციების ფონზე

გიორგი კალანდაძე
თორნიკე შარაშენიძე

გუშინ აშშ-ს დედაქალაქში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური სამიტი შეუდგა მუშაობას. სამიტის პარალელურად, ვაშინგტონში გარემოს დამცველი და ანტიგლობალისტური ორგანიზაციები საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ. თავად სამიტზე კი, განიხილავენ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქმიანობას ბოლო ორი წლის მანძილზე და შეაფასებენ მიღებულ შედეგებს.

შარშან სამიტი 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების გამო არ შედგა. მას შემდეგ მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი მსოფლიოს ეკონომიკური წრეების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა; განსაკუთრებით - სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მომხდარი ეკონომიკური კრიზისის გამო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ მის მიერ განხორციელებულმა ზოგიერთმა საკრედიტო პროგრამამ ვერ გაამართლა და ორგანიზაცია რეფორმებს საჭიროებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

ხელისუფლება და ღვინის ქარხნების დირექტორები ქახელი გლეხების წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

როდესაც ხელისუფლებას აკრიტიკებენ და მის ცოდვებზე საუბრობენ, ჩინოვნიკთა მრავალათასიანი არმიიდან თავს შეურაცხყოფილად არავინ მიიჩნევს და არავის მოსდის აზრად, ხელისუფლების პრესტიჟი და ღირსება დაიცვას, მაგრამ როგორც კი კრიტიკა ცალკეულ პერსონალიებს შეეხებათ, იცოცხლეთ, - ადვოკატები უმალ გამოჩნდებიან ხოლმე.

პარასკევს გამართულ პარლამენტის

გაგრძელება A3 გვერდზე

ვაკის პარკიდან ნატო-ს სტანდარტებისკენ

ნატო-სკენ ნაბიჯით იარ!

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ვერიკო თევზაძე

გუშინ საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 215 კურსანტმა ვაკის პარკში საზეიმოდ მიიღო ფიცი. ეს ტრადიციული ღონისძიება წლეულს აკადემიის ისტორიაში გამორჩეული იქნება, ვინაიდან ახალი, 2002 საწავლო წლიდან კურსანტები ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი პროგრამით ისწავლიან.

"ხუთწლიანი პროგრამა ძირეულ რეფორმებს ითვალისწინებს. გვაქვს ახალი სახელმძღვანელოები. პირველი ორი წელიწადი საერთო მომზადებას დაეთმობა, შემდეგ კურსანტები ცალკეულ სპეციალობებს დაეუფლებიან", - განუცხადა "24 საათს" თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორმა, გენერალ-ლეიტენანტმა ომარ ლეკვეიშვილმა.

ახალი პროგრამა სწავლების თურქულ და ინგლისურ მოდელებს ეფუძნება. თურქეთმა, როგორც ნატო-ს წევრმა ქვეყანამ, საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა, ეს სერიოზული პროექტი დაეფინანსებინა. ჯერ კიდევ შარშან აკადემიის რამდენიმე პედაგოგმა სტაჟირება გაიარა თურქეთში. ახალი პროგრამის ფარგლებში პედაგოგები დაკომპლექტებული არიან თურქი და ქართველი სპეციალისტებით (მეთაურები თურქები იქნებიან, ხოლო მათი მოადგილეები - ქართველები).

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სწავლება მიმდინარეობს სახმელეთო, საარტილერიო, სამხედრო-საავიაციო, სამხედრო-საზღვაო, სასაზღვრო, სამთო ფაკულტეტებზე. ახალი პროგრამა, რასაკვირველია, ბევრ ახალ სპეციალობას ითვალისწინებს. თურქული მხარე მომავლისთვის გვპირდება, რომ ერთ-ერთ ზღვისპირა რეგიონში, აკადემიის ფილიალის სახით, საზღვაო სასწავლებელს გახსნის.

ოთხწლიანი კურსის გავლის შემდეგ კურსანტები ლეიტენანტის წოდებას მიიღებენ და სპეციალიზებულ ერთწლიან სწავლებას გაივლიან (ამ ზაფხულს მისაღები გამოცდები აკადემიაში ახლებურად, ახალი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით ჩატარდა). აკადემიის აღსაზრდელებს სტაჟირებისთვის გაგზავნიან თურქეთისა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიაში, აკადემიის ხელმძღვანელობასა და პედაგოგებთან ერთად, მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 უცხოეთი A4 სამართალი A4 ეკონომიკა

B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՕՐԵՆՍԴՐՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱԳԻԾ

Հայաստանի Հանրապետության օրենսդրության (նաև՝ օրենսդրական) ակտերի նախագծերի (նաև՝ նախագծեր) պետական ռեգիստրի վարման, նախագծերի հանրային քննարկման, ինչպես նաև նախագծերի հիման վրա ընդունված ակտերի պաշտոնական հրապարակման կարգը սահմանող օրենքի նախագիծ

Հոդված 1. Սույն օրենքի նպատակը

Սույն օրենքի նպատակն է ապահովել Հայաստանի Հանրապետության օրենսդրության (նաև՝ օրենսդրական) ակտերի նախագծերի (նաև՝ նախագծեր) պետական ռեգիստրի վարման, նախագծերի հանրային քննարկման, ինչպես նաև նախագծերի հիման վրա ընդունված ակտերի պաշտոնական հրապարակման կարգը, ինչպես նաև ապահովել նախագծերի հանրային քննարկման արդյունքների հաշվառումը, ուսումնասիրությունը, վերլուծությունը և հանրային քննարկման արդյունքների մասին հանրության տեղեկացվածությունը:

Հոդված 2. Օրենսդրության ակտերի նախագծերի պետական ռեգիստրի վարման, նախագծերի հանրային քննարկման, ինչպես նաև նախագծերի հիման վրա ընդունված ակտերի պաշտոնական հրապարակման կարգի օրենսդրությունը

Օրենսդրության ակտերի նախագծերի պետական ռեգիստրի վարման, նախագծերի հանրային քննարկման, ինչպես նաև նախագծերի հիման վրա ընդունված ակտերի պաշտոնական հրապարակման կարգի օրենսդրությունը կազմում են Հայաստանի Հանրապետության Սահմանադրությունը, սույն օրենքը, Հայաստանի Հանրապետության միջազգային պայմանագրերը, Հայաստանի Հանրապետության կառավարության որոշումները, Հայաստանի Հանրապետության վարչապետի որոշումները, Հայաստանի Հանրապետության նախարարների որոշումները, Հայաստանի Հանրապետության կենտրոնական բանկի խորհրդի որոշումները, Հայաստանի Հանրապետության ազգային անվտանգության խորհրդի որոշումները, Հայաստանի Հանրապետության ընտրական օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության հարկային օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության մաքսային օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության դատական օրենսգրքերը, Հայաստանի Հանրապետության քրեական օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության քրեական դատավարության օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության վարչական իրավախախտումների վերաբերյալ օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության քաղաքացիական դատավարության օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության քաղաքացիական օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության հողային օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության ընտանեկան օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության քրեակատարողական օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության ներման մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության ներքին գործերի նախարարության ոստիկանության մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության ոստիկանության մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության դատախազության մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության դատական օրենսգիրքը, Հայաստանի Հանրապետության դատական իրավասության մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության դատավորների կարգապահական պատասխանատվության մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության դատավորների ընդհանուր ժողովի լիազորությունների մասին օրենքը, Հայաստանի Հանրապետության դատավորների ընտրության, նշանակման և նրանց նկատմամբ կարգապահական տույժերի կիրառման կարգի

"დაიწყო შეტევა განსხვავებულ აზრზე"

ტელეკომპანია "ოდიშის" დარბევამ "ნაციონალურ მოძრაობას" "განსხვავებული აზრის" წინააღმდეგ დაწყებული ახალი კამპანიის შესახებ საუბრის საშუალება მისცა. გუშინ "ნაციონალთა" ოფისში პრესკონფერენცია გამართეს პარლამენტარმა კოტე კემულარიამ და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა გივი თარგამაძემ.

გამომსვლელებმა ხელისუფლებას შეახსენეს, რითი დაიწყო შარშანდელი ნოემბრის მოვლენები და განაცხადეს, რომ თავისუფალ მედიაზე პარასკევს განხორციელებული მორიგი თავდასხმა ცხადყოფს, ვის აძლევს ხელს რეალური დესტაბილიზაცია.

"სწორედ ჟურნალისტებზე მსგავსი თავდასხმა გახლავთ დესტაბილიზაციის პირველი ნიშანი და არა სახალხო პროტესტის დაფიქსირება.

პროტესტის გამოთქმა და ხელისუფლების კრიტიკა არ არის დესტაბილიზაცია.

არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოუწყვია ის, რაც პარასკევს პოლიციამ მოაწყო," - ამბობდნენ გამომსვლელები და ხაზს უსვამდნენ, რომ მაშინ, როცა ხელისუფლება ასეთი მეთოდებით მოქმედებს, **"წკმუტუნი ოპოზიციისა და ხელისუფლების ერთად ყოფნის შესახებ, აზრს კიდევ ერთხელ კარგავს".**

კოტე კემულარია გუშინ აცხადებდა, რომ განსაკუთრებით შემაშფოთებელი

გივი თარგამაძე და კოტე კემულარია

იური ლოგოდინის ფოტო

გახლდათ ამ ფაქტზე კობა ნარჩემაშვილის ურეაქციობა, რომელმაც "ოდიშის" ჟურნალისტების თხოვნას დახმარების შესახებ, შესაბამისი ჯგუფის მეორე დღეს გაგზავნის შეპირებით უპასუხა.

"ეს არის ერთი საერთო ჯაჭვის რგოლი. თუ ჩვენ, განსხვავებულად მოაზროვნე დეპუტატებს, ექიმებს, მასწავლებლებს - ყველას დაგვაშინებენ, დაგვარბევენ და დაგვიჭერენ, "მოქალაქეთა კავშირს" დარჩება გამარჯვების შანსი. ეს არის კიდეც ასეთი კამპანიის საბოლოო მიზანი.

მიდის ბრძოლა, ვინ იქნება მეორე კაცი საქართველოში, შევარდნაძის შემდეგ.

ამ ბრძოლაში პრეზიდენტს ერთგულებას ბევრი უდასტურებს, მაგალითად, ვიტალი ხაზარაძე, რომელიც პარასკევს, უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ძალზე აქტიუროობდა, საკუთარი კოლეგის დაჭერისთვის რომ მიეღწია, და სხვები და სხვები..." - აცხადებდა გუშინ კოტე კემულარია.

"არანაირი შანსი არა აქვს "მოქალაქეთა კავშირს". ნარჩემაშვილი არის პატარა ადამიანი, რომელმაც მეთოდების დასესხება ფიქრის გორიდან, ანუ კახა თარგამაძისგან დაიწყო.

ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ერთი წლის წინ რაც მოხერხდა ასეთი შეტევის შემდეგ, იმის მოხერხება კიდევ შეიძლება. კანონის ფარგლებში მოთავსებული ხალხის უკმაყოფილება არ არის დესტაბილიზაცია," - კიდევ უფრო რადიკალური გახლდათ გივი თარგამაძე.

გამომსვლელებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ ჟურნალისტების დარბევის ერთ-ერთი კონკრეტული მიზანი "60 წუთის" ჯგუფის დაშინება და დღეისთვის დაგეგმილი გადაცემის "ჩაგდება" გახლდათ, რასაც ისინი ვერ მიაღწევენ.

"24 საათი"

ხელისუფლება და ღვინის ქარხნების დირექტორები კახელი გლეხების წინააღმდეგ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სხდომაზე არაერთხელ ითქვა, რომ ხელმწიფო მოხელეები "შეკრულები" არიან და რთველის დაწყების წინ ყურძენზე დაბალ ფასს ხელოვნურად ინარჩუნებენ. დეპუტატებმა თავიდან ეს განცხადებები ჩვეულებრივ ამბად მიიჩნიეს და ყური არავინ შეიბერტყა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რამდენიმე პარლამენტარს ბრალდების სუბიექტები დაეკონკრეტებინა, რომ მათმა კოლეგებმა მიკროფონებთან მაშინვე დაიკავეს რიგები და რეგიონული ელიტის უმანკო კრავებად წარმოჩინება დაიწყეს.

"კახეთის რაიონის გამგებლები, გუბერნატორის აპარატის მუშაკები და სხვა სახელმწიფო მოხელეები გაურიგდნენ ღვინის ქარხნების დირექტორებს და ყურძნის შესასყიდ ფასს ეს ჯგუფი განსაზღვრავს. მათ მიერ დადგენილი ფასი კი გლეხებს თვითღირებულებასაც ვერ უნაზღაურებს. ამის გამო კახეთის მოსახლეობა უკიდურესად გაღიზიანებულია", - მერაბიშვილის ეს განცხადება გია ხეკიაშვილმა აიტაცა, რომელმაც გაიხსენა, რომ **"შარშან, მოსავლის აღების დროს მოხდა დიდი აფიორა, ყურძნის ფასი ხელოვნურად დაწიეს და წელსაც იგივე მეორდება".** ამის შემდეგ კი დარბაზი მხოლოდ იმას ისმენდა, თუ როგორი პატიოსანი მოხელეები გვყავს რეგიონებში.

გუშინდელი სამთავრობო საათის დროს ღვინის ქარხნის დირექტორების დაცვა ფირმა "სამების" ყოფილმა ხელმძღვანელმა, ამჟამად ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ ითავა. მისი თქმით, მეღვინეები ფასებით სულაც არ არიან დაინტერესებულნი (?) და ამდენად, ვინმესთან გარიგებას მათთვის აზრი არ აქვს (?!). პარლამენტარს არასწორად მიაჩნია მტკიცება, თითქოს თეთრი ყურძნის ფასი ხელოვნურად "იყინება" და აცხადებს, რომ, შარშანდელთან შედარებით, შესასყიდი ფასი 10 თეთრით გაზარდა. ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატისთვის - დავით კაპანაძისთვის გასულია რუსეთიდან შემოტანილი შხამქიმიკატები. ყოველივე ამას გლეხობა სასოწარკვეთამდე მიჰყავს და დროთა განმავლობაში იზრდება იმის საფრთხე, რომ უნიკალური ქართული ყურძნის ჯიშები აღარ იარსებებს.

"არსებობს თუ არა იმის საშუალება, რომ უახლოეს დღეებში ყურძნის შესასყიდი ფასები გაიზარდოს და ამით კახეთის მოსახლეობამ ოდნავ მაინც იგრძნოს შვება?" - "გაერთიანებული დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ვასილ მაღლაფერიძის ამ შეკითხვაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი საკმაოდ კონკრეტულ პასუხს იძლევა: **"არა!"**

არადა, იმისთვის, რომ გლეხობამ თავისი შრომის ადეკვატური საზღაური მიიღოს, სახელმწიფოს მხრიდან, ძირითადად, მხოლოდ ის არის საჭირო, რომ აღიკვეთოს საღვინე ჯიშის ყურძნისა და საწვავი საშუალებების კონტრაბანდა. ხელისუფლება კი ღიად აცხადებს, რომ უძლურია, თავისი მოქალაქეები ეკონომიკური აგრესიისგან დაიცვას.

მოაზროვნე დეპუტატებს, ექიმებს, მასწავლებლებს - ყველას დაგვაშინებენ, დაგვარბევენ და დაგვიჭერენ, "მოქალაქეთა კავშირს" დარჩება გამარჯვების შანსი. ეს არის კიდეც ასეთი კამპანიის საბოლოო მიზანი.

მიდის ბრძოლა, ვინ იქნება მეორე კაცი საქართველოში, შევარდნაძის შემდეგ.

ამ ბრძოლაში პრეზიდენტს ერთგულებას ბევრი უდასტურებს, მაგალითად, ვიტალი ხაზარაძე, რომელიც პარასკევს, უშიშროების საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ძალზე აქტიუროობდა, საკუთარი კოლეგის დაჭერისთვის რომ მიეღწია, და სხვები და სხვები..." - აცხადებდა გუშინ კოტე კემულარია.

"არანაირი შანსი არა აქვს "მოქალაქეთა კავშირს". ნარჩემაშვილი არის პატარა ადამიანი, რომელმაც მეთოდების დასესხება ფიქრის გორიდან, ანუ კახა თარგამაძისგან დაიწყო.

ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ერთი წლის წინ რაც მოხერხდა ასეთი შეტევის შემდეგ, იმის მოხერხება კიდევ შეიძლება. კანონის ფარგლებში მოთავსებული ხალხის უკმაყოფილება არ არის დესტაბილიზაცია," - კიდევ უფრო რადიკალური გახლდათ გივი თარგამაძე.

გამომსვლელებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ ჟურნალისტების დარბევის ერთ-ერთი კონკრეტული მიზანი "60 წუთის" ჯგუფის დაშინება და დღეისთვის დაგეგმილი გადაცემის "ჩაგდება" გახლდათ, რასაც ისინი ვერ მიაღწევენ.

"24 საათი"

ნატო-ს წევრობისათვის საქართველოს სურვილი უფრო მეტი აქვს, ვიდრე შესაძლებლობა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც ყველაზე უმთავრესი პირობა.

მიუხედავად ზოგიერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჩამოთვლილ მოთხოვნებს საქართველო მხოლოდ მინიმალურ დონეზე აკმაყოფილებს. საქართველოს არმიის სათავეში კვლავაც მთლიანად სამხედროები იმყოფებიან, ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, ხოლო სამხედრო ბიუჯეტის 30 პროცენტიანი გაზრდა მხოლოდ მომავალი წლისთვის იგეგმება და ისიც მთლიანად იმ 2000 ჯარისკაცის სახელფასო ფონდის დაფინანსებას უნდა მოხმარდეს, რომლებიც ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში" ღებულობენ მონაწილეობას. ფინანსურ უზრუნველყოფას ყველაზე სერიოზულ პრობლემას უწოდებს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, რომელიც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის შაბათის სხდომაზე ძირითადი მომხსენებელი გახლდათ.

თედო ჯაფარიძე: **"რა თქმა უნდა, პირადად მე რომ მკითხოთ, დღეს მთავარია, რომ ჩვენ შეიარაღებულ ძალებს, ძალოვან სტრუქტურებს ჰქონდეთ განვითარების საშუალება, ჰქონდეთ ის ბიუჯეტი, რომელიც მათ ამ პროცესის რეალიზებაში დაეხმარებათ."**

აღსანიშნავია, რომ ნატო-სა და სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობის კონტექსტში "როუზ როსის" სემინარის არაერთმა მონაწილემ გამოთქვა კომპლიმენტი საქართველოს მიმართ, რომელიც ბოლო დროს ალიანსის არაერთ ინიციატივას, მათ შორის "ანალიზისა და დაგეგმარების" პროცესს შეუერთდა. სემინარის მონაწილეებს მხედველობიდან არც "პარტნიორობა მშვიდობისათვის " ეგიდით საქართველოს ტერიტორიაზე ორი მრავალეროვნული სწავლების ჩატარებისა და ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" ფაქტები გამოპარვიათ. მაგრამ ნატო-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შტაბის უფროსის, დევიდ კოლინზის თქმით, ალიანსის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ძალიან აშფოთებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის არსებული ტერიტორიული პრეტენზიები და გადაუჭრელი შიდა კონფლიქტები, რაც რეალურად აფერხებს რეგიონის განვითარებას.

დევიდ კოლინზი: **"სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ ნატო-ში გაწევრიანება, აუცილებლად კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მეზობლებთან და ასევე მოგვარებული უნდა ჰქონდეთ სასაზღვრო კონფლიქტები. ამიტომ საქართველომ და რეგიონის ქვეყნებმა ეს პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში უნდა გადაწყვიტონ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მრავალი წინააღმდეგობის გამო, მოკლევადიან პერსპექტივაში ამ პრობლემების მოგვარება ძალიან რთული იქნება."**

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაში მნიშვნელოვან როლს რუსეთის ფედერაცია თამაშობს, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას არ ესწრებოდნენ რუსი პარლამენტარები. თუმცა დამოუკიდებელი ექსპერტის რანგში "როუზ როსის" სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის წარმომადგენელი ალა იაზკოვა, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გაკვირვებულია რუსი კანონმდებლების ასეთი საქციელით.

"რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ამ არასასიამოვნო კონფლიქტური ვითარების მოწესრიგება მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებზე არ არის დამოკიდებული,ამიტომ ჩვენთვის სასიხარულო იყო, როცა შევიტყვეთ, რომ შეიქმნა სამმხრივი ამერიკულ- ქართულ-რუსული კომისია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუკი ეს იქნება მრავალმხრივი, საპარლამენტთაშორისო კომისია."

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრები საქართველოში კიდევ სამ დღეს დაყოფენ. ორშაბათს მათ დაგეგმილი აქვთ გამგზავრება პანკისის ხეობაში. სემინარის დასკვნით დღეს კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და სამხრეთი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების საკვანძო საკითხების თაობაზე, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრები საგანგებო რეზოლუციას მიიღებენ.

ვაკის პარკიდან ნატო-ს სტანდარტებისკენ

ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიალი.

გოგიჭა ბუხაიძის ფოტო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შტაბის უფროსი, გენერალი ჯონი ფირცხალაიშვილი, თურქეთის სამხედრო ატაშე ადნან გიულერი, თურქეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში და სხვა მოწვეული სტუმრები. აკადემიის რექტორმა, გენერალ-ლეიტენანტმა ლეკვეიშვილმა მადლიერება გამოხატა თურქეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისადმი, რომელმაც აკადემიას დიდი დახმარება გაუწია.

ახალი სასწავლო წელი აკადემიაში 7 ოქტომბერს დაიწყება. თურქულმა მხარემ თავდაცვის აკადემია ევროსტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყო. ამჟამად კურსანტები სპეციალურ მოსამზადებელ პერიოდს გადიან ვაზიანის საწვრთნელ ბაზაზე, სადაც მათთვის კომფორტულად მოწყობილი სპეციალური კომპლექსია გამოყოფილი.

"თქვენ უნდა შექმნათ მომავალი სამხედრო ინტელიგენციის სახე", - თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი ომარ ლეკვეიშვილი წლევანდელ კურსანტებზე დიდ იმედებს ამყარებს.

ვის ემუქრებოდა ჰუტინი 11 სექტემბერს?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მაგრამ მაშინ, რას ნიშნავდა დადგენილება რუსეთის სახელმწიფო დუმისა, რომელიც აცხადებდა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიაზე ომის დაწყებას, ან ენამახვილი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განუწყვეტელი მინიშნებები "მოთმინების ფიალის ბოლო წვეთზე" და "ავიაციის ათწუთიან საბრძოლო მზადყოფნაზე".

საეჭვოა, რომ რუსეთს გაებედა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის მშვიდობიანი მოსახლეობის ან ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ დაწყება. გამოდის, რომ რუსეთის მთელი ეს ბაქი-ბუქი ბლეფი იყო?

არის მეორე ვარიანტიც. გელაევის შეუმჩნეველი გადასვლა რუსეთის მიერ "მაქსიმალურად გამაგრებულ" სახელწიფო საზღვარზე, მისი რაზმის გაძრომა გელაშკიში 5 ათასი რუსი ჯარისკაცის მიერ დარტყმული ალყიდან, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჩეჩნეთში მოქმედ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში, რბილად რომ ვთქვათ, კოორდინაციასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს და ამის გამო, უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება ადგილზე.

„დადგენილებათა ჭიდილი" პარლამენტში

"გაერთიანებული დემოკრატები" პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილებას ეჭვქვეშ აყენებენ. პარლამენტარ ხათუნა ხოფერიას დაჟინებული მტკიცებით, საარჩევნო დარღვევების შემსწავლელ კომისიას მოქმედების ვადა ჯერ კიდევ სექტემბერში ამოეწურა. შესაბამისად, კომისიის წევრებს საქმიანობის გაგრძელების უფლება აღარ აქვთ.

საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, ხათუნა ხოფერიას პარლამენტის მიერ 7 ივნისს მიღებული დადგენილების ტექსტი მოჰყავს, რომლის მეხუთე პუნქტის თანახმად, კომისიას უფლებამოსილების ვადა 3 თვით განესაზღვრა. მერვე პუნქტში კი მითითებულია, რომ ეს დადგენილება გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო.

თუმცა, "მრეწველები" და სოციალისტები არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და საკუთარი კონტრარგუმენტები მოჰყავთ. ისინი მეორე დადგენილებაზე საუბრობენ, რომლითაც ამ კომისიის შემადგენლობა დამტკიცდა. იგი დეპუტატებმა 4 ივლისს მიიღეს. აქედან გამომდინარე, "გაერთიანებული დემოკრატების" მონინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ კომისიის უფლებამოსილების ვადაც სწორედ ამ დღიდან უნდა ათვლილიყო.

ამასობაში დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი ფარ-ხმალს არ ყრის და ბოლომდე იბრძვის. ორი დღის წინ იგი ფოთში გაემგზავრა და საარჩევნო დოკუმენტაცია იმავე დღეს თბილისში ჩამოიტანა. ახლა კომისიის ხელმძღვანელობა ძალიან შეეცდება, 4 ოქტომბერს სამსჯავროზე არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ ფოთის საკრებულოს საკითხიც გამოიტანოს. საპარალამენტო კულუარებში ამბობენ, რომ ფოთის საკრებულოს თაობაზე გამოტანილი დასკვნა პრობლემებს სწორედ "გაერთიანებულ დემოკრატებს" შეუქმნის.

"24 საათი"

უსტიმატუმი - ბაღდადს

გუშინ სააგენტო "როიტერმა" გავრცელა რამდენიმე ფრაგმენტი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტიდან, რომელსაც შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ხვალ წარადგენენ.

რეზოლუციის პროექტი უმძიმეს პირობებს უწესებს ერაყს. კერძოდ, რეზოლუციის მიღებიდან 7 დღეში ერაყი ვალდებულია, სრულად მიიღოს მისი პირობები, 30 დღეში წარადგინოს ინფორმაცია თავისი ყველა საიდუმლო იარაღის პროგრამის შესახებ. შეიარაღების ინსპექტორებს ერაყში დაიცავენ გაერო-ს სპეციალური უსაფრთხოების რაზმები. ინსპექტორებს უფლება ექნებათ, შეამოწმონ ნებისმიერი ადგილი, მათ შორის საპრეზიდენტო სასახლეები და მეჩეთები. ბაღდადის მხრიდან ნებისმიერი დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, გაერო-ს წევრ სახელმწიფოებს უფლება ექნებათ, ერაყის წინააღმდეგ ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენონ.

უშიშროების საბჭოს მიერ ამ რეზოლუციის მიღება, მწვანე შუქის ანთება იქნება ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისათვის. ამიტომ რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი, სავარაუდოდ, მათი მხარდაჭერის სანაცვლოდ, ამერიკელებს საკუთარ მოთხოვნათა გრძელ სიას წარუდგენენ.

უშიშროების საბჭოს პარალელურად, ბუშს ომის აუცილებლობის დამტკიცება საკუთარი კონგრესისთვისაც უწევს. ბუშმა კანონმდებლებს წარუდგინა პროექტი, რომელიც მას, ფაქტობრივად, შეუზღუდავი მოქმედების საშუალებას აძლევს. ამერიკელი კონგრესმენები, განსაკუთრებით დემოკრატები, ომის მხარდაჭერისაკენ კი იხრებიან, მაგრამ პრეზიდენთისათვის კარტ-ბლანშის მიცემას მაინც ამრეზილები უყურებენ

შეერთებული შტატები ამტკიცებს, რომ თუ უშიშროების საბჭოს წევრების დაყოლიებას ვერ მოახერხებს (ანუ თუ ისინი ძალიან ბევრს მოითხოვენ), ომს გაერო-ს მხარდაჭერის გარეშეც დაიწყებს და, ამ შემთხვევაში, მოსკოვი, პარიზი და პეკინი საერთოდ ვერაფერს მიიღებენ, მათ შორის - ერაყის ომისშემდეგომ რეკონსტრუქციაში მონაწილეობის უფლებას (ეს დიპლომატიური ფრაზა ჩვეულებრივ ენაზე ითარგმნება, როგორც წილი ნავთობსაბადოებში). ეს ვარიანტი ყველაზე წამგებიანი მოსკოვისთვისაა, რადგან იგი არა მხოლოდ ხვალინდელ ქათამს, არამედ დღევანდელ კვერცხსაც კარგავს (12 მილიარდიანი ვალი, რომელიც ბაღდადს მოსკოვისა მართებს).

თავის მხრივ, რუსეთი და საფრანგეთი ერაყში ინსპექტორების ძველი პირობებით დაბრუნებას მოითხოვენ და ახალი რეზოლუციის მიღების აუცილებლობას გამორიცხავენ. უკიდურეს შემთხვევაში, ისინი ორი ახალი რეზოლუციის მიღებას უჭერენ მხარს, რომელთაგან ერთი ინსპექტირების პირობებს დაადგენს, მეორე კი - პირობების დარღვევაზე შესაძლო სანქციებს (რასაკვირველია, იმ იმედით, რომ მეორე რეზოლუცია ჩავარდება).

ამერიკის სასარგებლოდ ორი ფაქტორი მეტყველებს. ჯერ ერთი, ერაყმა მართლა დაარღვია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 16 რეზოლუცია და მეორე, ამერიკამ მართლა რომ დაიწყოს ომი, მისთვის ხელის შეშლას ვერც ერთი მისი "პარტნიორთაგანი" ვერ გაბედავს. ვაშინგტონს შეუძლია ჯერ ომი დაიწყოს, და მერე შეეცადოს სამკუთხედთან შეთანხმების მიღწევას. ასეთ შემთხვევაში ვაშინგტონი უფრო იაფად "იყიდის" "სამკუთხედის" თანხმობას.

ეს სცენარი, ალბათ, ყველაზე სახიფათოა საქართველოსთვის, რადგან, რუსეთის თანხმობის გარეშე, ამერიკის მიერ ერაყზე დარტყმის განხორციელებას (იმ იმედით, რომ პოსტ-ფაქტუმ რუსეთის დაყოლიება უფრო იოლია) შესაძლოა რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესია მოჰყვეს.

ისრაელმა სომხეთს ბოდიში მოუხადა

სომხური საინფორმაციო სააგენტო "არმინფოს" ცნობით, ისრაელის მთავრობამ ოფიციალურად მოუხადა ბოდიში სომხეთს სომხეთის სამოციქულო ეკლესიის იერუსალიმის დიოცეზის მიწების დროებით დაკავების გამო. ბოდიშის ნოტა ისრაელის ელჩმა ამერიკაში, დენიელ აიალონმა სომხეთის დელეგაციას გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გადასცა. ისრაელის მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ ბეთლემში ისრაელი არმიის მიერ დაკავებული სომხური მიწების ბედი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდება, თუმცა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ებრაელებისა და პალესტინების გამყოფი "უსაფრთხოების ღობე" სომხური მონასტრის მიწებზე აღარ გაივლის, უკვე მიღებულია. ნოტა არაფერს ამბობს აღნიშნული მიწებიდან ისრაელი ჯარების გაყვანის დროსა და პირობებზე.

აზერბაიჯანი ევროსაბჭოდან სომხეთის გარიცხვას მოითხოვს

"მინდა პირდაპირ ვკითხო საბჭოს წევრებს: შეიძლება რომ სომხეთი იყოს ევროსაბჭოს წევრი და უგულვებელყოფდეს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს? შეიძლება, რომ იგი უკვე 10 წელია აგრძელებდეს ევროსაბჭოს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციას, და ღიად არღვევდეს მილიონზე მეტი ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვალი პირის უფლებებს? თუ თქვენი პასუხია "არა" – და ეს ერთადერთი სწორი პასუხია – მაშინ სომხეთის წინააღმდეგ უნდა განხორციელდეს სანქციები და ეს ქვეყანა გაირიცხოს ევროპის საბჭოდან," – განცხადა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა ილჰამ ალიევმა.

სომხეთი თავის წილ კრიტიკას, საბოლოო ჯამში, ვერ გადაურჩა, მაგრამ ამასობაში, კინაღამ თვითონ აზერბაიჯანი გარიცხეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან. საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელმა ანდრეას გროსმა, რომელსაც ბაქო თავიდანვე პროსომხურ განწყობებში ადანაშაულებდა და ქვეყანაში მისი შეშვების წინააღმდეგი იყო, განაცხადა, რომ იგი **"შოკირებულია იმით, რაც აზერბაიჯანში ნახა".** საბჭოს ბრიტანელი წევრის განცხადებით კი, აზერბაიჯანმა გროსის ეს შენიშვნა უკანასკნელ გაფრთხილებად უნდა მიიღოს.

ევროპის საბჭოს კრიტიკას იწვევს აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების არსებობა, რაც, საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური რეზოლუციის თანახმად, **"ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში სრულიად დაუშვებელია".** აზერბაიჯანი გააკრიტიკეს 24 აგვისტოს რეფერენდუმისთვისაც, რომელიც, გროსის თქმით, ძალზე სერიოზული დარღვევებით ჩატარდა.

მართალია, რამდნიმე თვის წინათ, გაზეთის ქაღალდზე დღგ-ის მოხსნისათვის, ალიევმა "პრესის მეგობრის" საპატიო ტიტული დაიმსახურა, მაგრამ ასამბლეის რეზოლუციამ მაინც საგანგებო ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში პრესის თავისუფლების პრობლემებზე, განსაკუთრებით - **"სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის მიღების შემდეგ".**

თუმცა, როგორც ჩანს, არც აზერბაიჯანსა და არც სომხეთს ამ ორგანიზაციიდან გარიცხვა არ ემუქრებათ. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ამ ორგანიზაციამ აქამდე მხოლოდ რუსეთი დასაჯა, როდესაც ჩეჩნეთში არაადამიანური ქმედებების გამო, მას ხმის უფლება ჩამოართვა და ისიც მალევე აღუდგინა. ამას წინათ როგოზინმა ევროსაბჭოს, საქართველოსთვის მხარდაჭერის გამო, სულ "პროტერორისტული" და "კაპიტულანტური" ორგანიზაცია ეძახა.

ლორდთა პალატის წევრი "თავისუფლების ინსტიტუტს" ეწვია

თამარ კაკიტაძე

2002 წლის ივლისში "თავისუფლების ინსტიტუტზე" მომხდარი თავდასხმის საქმის გამოძიება ჯერაც არ დასრულებულა და, ფაქტობრივად, რეალური დამნაშავეებიც არ გამოვლენილა. ერთადერთი სიახლე ის გახლავთ, რომ გუშინ დაზარალებულებს თბილისის საგამოძიებო სამმართველოდან დადგენილების ასლი მიუვიდათ, სადაც აღნიშნულია, რომ დარბევის დროს დაკარგული დავით ზურაბიშვილის მობილური ტელეფონი დარბევაში ეჭვმიტანილ გიორგი დოინჯაშვილს არ მოუპარავს და ამ ფაქტზე მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება.

აღნიშნული დადგენილების გამოგზავნიდან რამდენიმე წუთში "თავისუფლების ინსტიტუტს," თავდასხმასთან დაკავშირებით სოლიდარობის ნიშნად, ინგლისის ლორდთა პალატის წევრი, ლორდი ჯონ მაკლასკი ეწვია. მაკლასკი, რომელიც თავის დროზე შოტლანდიაში მოსამართლის, გენპროკურორის თანამდებობაზე და ადვოკატად მუშაობდა, საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის მონიტორონგის მიზნით ჩამოვიდა.

როგორც "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი ლევან რამიშვილი აღნიშნავს, "შოტლანდიის გამოცდილება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იმ სახის რეფორმები, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, იქ 90-იანი წლებიდან დაიწყო და წარმატებული შედეგებიც გამოიღო, როგორც ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის, ისე სამართლებრივი თვალსაზრისითაც".

ლორდთა პალატის წევრი, რომელიც, ამავე დროს, ინგლისში "ჯონ სმიტის ფონდის" წევრიც გახლავთ, "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს დემოკრატიული არჩევნებისთვის აუცილებელ საკითხებზე ესაუბრა, კერძოდ, საარჩევნო სიების გაწმენდისა და საჯარო გამოქვეყნების აუცილებლობაზე. შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი კი სამართლებრივ რეფორმას დაეთმო. მაკლასკი თვლის, რომ საქართველოში აუცილებელია, შეიქმნას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რათა მოხდეს მართლმსაჯულებისადმი ნდობის აღდგენა. ამასთან, საჭიროა იყოს ადვოკატურის ისეთი სისტემა, რომელიც დაიცავს ღარიბი მოსახლეობის ინტერესებს.

ჯონ მაკლასკმა აღშფოთება გამოთქვა ზუგდიდში ტელეკომპანია "ოდიშის" დარბევის ფაქტის თაობაზე, მასპინძლებს კი ურჩია, მათზე მომხდარი თავდასხმის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მიმართონ.

ლორდი ჯონ მაკლასკი — ლევან ხერხეულიძის ფოტო

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი გიგა ბოკერია ლორდთა პალატის წევრის სტუმრობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ ცნობილ ექსპერტთან თანამშრომლობა მომავალშიც ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს.

ხვალ ჯონ მაკლასკი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას შეხვდება, შემდეგ კი სამართლებრივ რეფორმასთან დაკავშირებით ლექციას წაიკითხავს.

შსს-ს გენერალური ინსპექცია ზუგდიდელი პოლიციელების საქმეს იკვლევს

ზუგდიდელი პოლიციელების მიერ ადგილობრივი ტელეკომპანიის "ოდიშის" დარბევის გამო, გუშინ დილით სამეგრელოში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენლები ჩავიდნენ. ტელეკომპანიის ოფისში მათ ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც მომხდურმა პოლიციელებმა დატოვეს – დამტვრეული კომპიუტერები და ტელეაპარატურა, დაღეწილი ავეჯი.

როგორც ცნობილია, ზუგდიდის რკინიგზის სადგურში მიმდინარე აქციის დარბევის კადრების ეთერში გაშვების შემდეგ, პოლიციელები ჯერ "ოდიშის" ოფისში შეცვივდნენ, ჟურნალისტები სცემეს და აპარატურა დაამტვრიეს, მერე კი უშუალოდ დარბევის სიუჟეტის ავტორს - ემა გოგოხიას მიუცვივდნენ სახლში, სცემეს მისი ოჯახის წევრები, ჟურნალისტს კი მოკვლით დაემუქრნენ. ტელეკომპანიის თანამშრომლების თქმით, მომხდურებს ხელმძღვანელობდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი სამხარეო პოლიციის და ზუგდიდის პოლიციის უფროსების მოადგილეები. გუშინწინვე შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ინციდენტს შესაბამისი ორგანოები გამოიძიებენ და დამნაშავეებიც აუცილებლად დაისჯებიან. მართლაც, გუშინდელი დღიდან გენერალური ინსპექციის გამომძიებლები ზუგდიდში სამსახურებრივ მოკვლევას აწარმოებენ. პარალელურად დარბევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა გენერალურ პროკურატურაში და გამოძიებაც დაიწყო.

გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჯინჯოლავა ამ ეტაპზე რაიმე დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებს, მით უმეტეს, ნაადრევად მიიჩნევს კონკრეტული დამნაშავეების დასახელებას.

მოკლედ

ქუთაისი. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიციელებმა, გუშინ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, გატაცებული ავტომანქანის მფლობელისთვის დაბრუნება მოახერხეს,.

ქუთაისელ სამართალდამცველებს მოქალაქე თეიმურაზ ხევთიშვილმა გუშინ მიმართა. მისი განცხადებით, ცისფერყანწელთა ქუჩიდან ბოროტმოქმედმა მას "ვაზ 21-06" მარკის ავტომანქანა მოსტაცა.

გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დადგინდა, რომ ავტომანქანის გამტაცებელი, ქუთაისში, ცაცხვების ქუჩაზე მცხოვრები, ადრე ნასამართლევი, 18 წლის თორნიკე ალავიძეა.

პოლიციელები გატაცებულ ავტომანქანას დაედევნენ, ალავიძემ ავტომანქანა მიატოვა და მიმალვა შეძლო.

ქუთაისის შს სამმართველომ თორნიკე ალავიძეზე ძებნა გამოაცხადა. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზატორები დააკავეს.

თბილისის შს მთავარი სამმართველოს პრეს-სამსახურის ცნობით, ლოტკინის დასახლებაში პოლიციელებმა რაია მარენი, მალინა და ანა გეტმანები დააკავეს, რომლებსაც სარეალიზაციოდ გამზადებული 10 პაკეტი – 57,8 გრამი მარიხუანა აღმოაჩნდათ. ამჟამად მიმდინარეობს ღონისძიებები ნარკოტიკების მომწოდებლის დადგენა-დაკავების მიზნით. გამოძიებას გლდანი-ნაძალადევის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. ლოტკინის დასახლებაში პოლიციელებმა ვახტანგ რევიშვილი და ბექა სამხარაძე დააკავეს, რომლებმაც თბილისელ თამაზ ლეკიაშვილს დანის მუქარით ავტომანქანა "ვაზ 21-06" წაართვეს.

დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა გაიტაცეს თბილისელი ზურაბ მიქაბერიძის "ვაზ 21-011"-იც. ნივთმტკიცებები ამოღებულია. გამოძიებას გლდანი-ნაძალადევის სამსახური აწარმოებს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

გორი. ცხინვალის რეგიონის სოფელ ჯავასთან გუშინწინ, გვიან ღამით რამდენიმე შეიარაღებული ოსი სპეცრაზმელი თავს დაესხა თეთრ "ნივას", რომელშიც სიგარეტის ბიზნესით დაკავებული ვინმე ჯაიოევი იმყოფებოდა.

ჯაიოევსა და მის თანმხლებ პირებს თავდამსხმელებმა ოსურ სოფელ ძართასთან უმოწყალოდ სცემეს და მათი კუთვნილი 28 ათასი ამერიკული დოლარი გაიტაცეს.

ამ დროისათვის დამნაშავეები არ დაუკავებიათ.

ცხინვალის ადგილობრივი მოსახლეობისა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ჩინოვნიკების გარკვეული ნაწილი კულუარულად საუბრობს, რომ, შიდა პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა.

გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, სიგარეტის უხვშემოსავლიან, არალეგალურ ბიზნესზე ექსკლუზიური უფლება "დიკების" სახელით ცნობილ ძმებ ალან და იბრაგიმ თედეევებს გააჩნიათ.

ერთ-ერთი მათგანი, იბრაგიმ თედეევი, ამჟამად სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანია და, როგორც ამბობენ, კოკოითზე საკმაოდ დიდი გავლენა გააჩნია.

ცხინვალის რეგიონში, ინფორმირებული წყაროს ცნობით, სიგარეტის ბიზნესით დაკავებულ პიროვნებებზე მუდმივად ხდება თავდასხმები.

„AES თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმე გაიხსნა

პირველი გვერდიდან

მოძებნა არ გაგვჭირვებია, რადგანაც იგი რეგისტრირებული აღმოჩნდა, თანაც - პოლიციის მუშაკზე გაპიროვნებული. დაახლოებით ერთი თვის წინ, ჩვენი მოთხოვნისთანავე, დავით მჭედლიძემ ეს იარაღი თავადვე ჩაგვაბარა. მალევე დავკითხეთ და გვითხრა, რომ იარაღი არავისთვის უთხოვებია, ამ ხნის მანძილზე არც ისეთი შემთხვევა ყოფილა, რომ დამეკარგა და მერე მეპოვნაო. დამეთანხმეთ, მკვლელისგან ასეთი ჩვენების მიღება უცნაურია. კიდევ უფრო არ ჰგავს მკვლელის საქციელს ის, რომ, იარაღის ჩაბარებისა და დაკითხვის შემდეგ, იგი არსად გაქცეულა, ძველებურად დადიოდა სამსახურში. ჩვენ კი მჭედლიძე მხოლოდ FBI-დან იარაღის შესახებ საბოლოო დასკვნის მიღების შემდეგ დავაკავეთ. ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაზე მეტი მტკიცებულება რაღა უნდა იყოს. შესაბამისად, წარვუდგინეთ კიდეც ბრალი განზრახ მკვლელობაში", -- გვითხრა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ გიორგი ყაჯრიშვილმა, რომელიც არ მალავს, რომ მკვლელობის მოტივი გამოძიებისთვის დღემდე უცნობია. თავად ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. გიორგი ყაჯრიშვილის თქმით, დავით მჭედლიძეს ყველა არაჩვეულებრივად ახასიათებს და იგი არასოდეს ყოფილა შემჩნეული კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში.

წარმოშობით ქუთაისელი დავით მჭედლიძე, რამდენიმე წელია, დაცვის პოლიციაში მუშაობს და უკვე კარგა ხანია, კომპანია "ომეგას", კერძოდ, მისი მფლობელის - თამაზ ოქუაშვილის მამის დაცვა ევალება. მისი ძირითადი საქმიანობა კი მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე "ომეგას" ავტოსადგომის მეთვალყურეობა გახლდათ. ბინასაც ავტოსადგომთან ახლოს ქირაობდა. სწორედ აქ იკვეთება ერთი საინტერესო დეტალი – ამ ავტოსადგომზე ტოვებდა ხოლმე ღამით მანქანას ნიკა ლომინაძე. მკვლელობის ღამესაც მან მანქანა იქ დააყენა. ავტოსადგომის დარაჯი ზუსტად აღწერს მის ჩაცმულობას და იმასაც იხსენებს, რომ მანქანის დაყენებისას ტელეფონით საუბრობდა. იმავე ღამით, ავტოსადგომიდან წასვლის შემდეგ, სავარაუდოდ, ორი საათის შუალედში მოკლულ ნიკა ლომინაძეს დარაჯის მიერ აღწერილი ტანსაცმელი აღარ ეცვა. როგორც გახსოვთ, მისი გვამი მხოლოდ მეორე ღამით იპოვეს. მოკლული მშობლების სახლში, სკოჩით ხელფეხშეკრული იწვა დივანზე, საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილს, სხეულზე პირსახოცი ეფარა და თავში ერთადერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. გამოძიებას აბნევს ის ფაქტი, რომ მეზობლებს სროლის ხმა არ გაუგიათ, FBI-ის დასკვნის მიხედვით კი, ტყვიის გულა, რომელიც ბალიშიდან ამოიღეს, ნამდვილად არ იყო ნასროლი მაყუჩიანი იარაღიდან. თავდაპირველად მკვლელობის ყაჩაღობის მოტივით ჩადენას იმიტომ გამორიცხავდნენ, რომ ლომინაძეების ბინიდან არაფერი დაკარგულა. მაგრამ გამოძიებას აკვირვებს, რომ არც ნიკა ლომინაძის ჯიბეებში, არც მთელ ბინაში არ აღმოჩნდა არც ერთი თეთრი. არადა, ავტოსადგომის დარაჯს მან ფული გადაუხადა.

როგორც ირკვევა, მკვლელობის ღამეს დავით მჭედლიძე არ მორიგეობდა და, გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების თანახმად, სავარაუდოდ, შებინდებისას სახლში წავიდა. მისი ალიბის დადასტურება არავის შეუძლია.

გამოძიებამ ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი დააყენა. გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ დააკმაყოფილა გამოძიების შუამდგომლობა, კანონის სრული დაცვით მოპოვებულად და მჭედლიძისთვის მკვლელობაში ბრალის წაყენებისთვის საკმარისად ჩათვალა ყველა არსებული მტკიცებულება და შეუფარდა კიდეც მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. მჭედლიძის ადვოკატი ზურაბ ტაბიძე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, რადგან ფიქრობს, რომ გამოძიებას არავითარი საფუძველი არ აქვს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმალვის ეშინოდეს. მას რომ ეს მოენდომებინა, აქამდეც მოახერხებდაო, - ამბობს ადვოკატი.

გამოძიებას კი წინ მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს. ჯერ კიდევ ელიან ამერიკიდან სხვადასხვა ექსპერტიზების დასკვნებს. FBI-ის ექსპერტები, ამ ეტაპზე, ქუთაისში, მჭედლიძის საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ სისხლიან ტანსაცმელს იკვლევენ. თავად ბრალდებული ტანსაცმელზე სისხლის ლაქების არსებობას ცხვრის დაკვლით ხსნის. ამერიკელი ექსპერტები ამ სისხლის წარმომავლობას დაადგენენ, ასევე ექსპერტიზას ჩაუტარებენ ნიკა ლომინაძის ბინაში აღმოჩენილ თმებს, სიგარეტის ნამწვავებს და იმ სკოტჩს, რომლითაც მოკლული იყო გაკოჭილი.

სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სამიტი საპროტესტო აქციების ფონზე

პირველი გვერდიდან

"სავალუტო ფონდი ახლა ცვლილებების პროცესშია," – დაიმედა საზოგადოება ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰორსტ კიოლერმა, ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური შეხვედრის წინ საგანგებოდ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე. კიოლერმა ასევე განაცხადა, რომ მას მშვენივრად ესმის ანტიგლობალისტების. **"უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალიზაციას ყველასათვის ერთნაირი სიკეთე არ მოაქვს**, - აღნიშნა მან, - **აშკარაა, რომ ღარიბ ქვეყნებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ გლობალიზაციის მასშტაბები უნდა შევამციროთ. უბრალოდ, ჩვენ უკეთესი გლობალიზაცია გვჭირდება."**

კიოლერის აზრით, ღარიბმა ქვეყნებმა ყველაზე მეტად საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით უნდა იხეირონ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა ეკონომიკური ვითარება მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაუარესდა. ჯერ კიდევ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წინა შეხვედრისას ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ვითარება შეიქმნებოდა. თუმცა, კიოლერის აზრით, ის ამბავი, რომ მსოფლიო ეკონომიკამ, ასე თუ ისე, გაართვა თავი ბოლო წლების განმავლობაში მასზე თავს დამტყდარ პრობლემებს, საკმაოდ დამაიმედებელია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობას საქართველოს დელეგაციაც იღებს. ეკონომიკური რეფორმების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე თემურ ბასილია ყურადღებას ამახვილებს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ინიციატივაზე, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შვიდი ყველაზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნისთვის საგარეო ვალების ჩამოწერას შეეხება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ეგიდით პირველი შეხვედრა, "დსთ-7"-ის ჯგუფის ქვეყნებისთვის დამატებითი დახმარების გაწევის თაობაზე, ლონდონში, მიმდინარე წლის 21-22 თებერვალს ჩატარდა. შეხვედრაში ასევე მიიღეს მონაწილება რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ხელმღვანელებმა. ინიციატივა ითვალისწინებს ჯგუფის წევრი ქვეყნებისთვის შეღავათიანი საკრედიტო პროგრამების გაზრდას და, პარიზის კლუბის ჩარჩოებში, საგარეო ვალების ნაწილობრივ ჩამოწერას. სანაცვლოდ, "დსთ-7"-ის წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება უნდა აიღონ, რომ განახორციელებენ წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებს, შეასუსტებენ კორუფციის გავლენას, ჩაატარებენ მმართველობით რეფორმას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ სიღარიბის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს და არ გაზრდიან საგარეო ვალებს. **"ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მომავალი წლის იანვარში ჩატარდება კონფერენცია, სადაც ამ ინიციატივის კონკრეტულ დეტალებზე მოხდება შეთანხმება"**, - აღნიშნა ბასილიამ.

ჰორსტ კიოლერი

„რუსბრენდი" სავაჭრო ნიშნებს „გაქაჩავს"

რუსეთში შეიქმნა პირველი მსხვილი ასოციაცია "რუსბრენდი", რომლის მიზანია, დაეხმაროს ცნობილ საფირმო ნიშნებს, დაამკვიდრონ თავიანთი საფირმო სახელები რუსეთის ბაზარზე, სადაც მომხმარებლები ჯერ კიდევ სკეპტიკურად არიან განწყობილნი ბრენდების მიმართ.

ასოციაცია "რუსბრენდი", რომლის შექმნის შესახებაც ორიოდე დღის წინ გამოცხადდა, პირველი მსხვილმასშტაბიანი პროექტია რუსეთში, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს. ახლა ორგანიზაციას 24 წევრი ჰყავს, თუმცა, მომავალ წელს ეს რიცხვი, შასაძლოა, ორჯერ გაიზარდოს.

ასოციაციის ორგანიზატორების განცხადებით, გაწევრიანებისთვის აუცილებელი ერთადრთი კრიტერიუმი პროდუქციის ხარისხი და ამა თუ იმ კომპანიის შეულახავი რეპუტაციაა.

"რუსბრენდს" სურს "ფართო მოხმარების საქონლის ინდუსტრიის ბერკეტად" იქცეს. ბერკეტის საყრდენი წევრ-კომპანიების შენატანები იქნება, შენატანები კი ამ კომპანიათა საქონელბრუნვის მიხედვით განისაზღვრება. "რუსბრენდის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლის დავით იაკობაშვილის განცხადებით, ამ პროექტის შექმნის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ რუსეთის მომხმარებლებსაც და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, ჯერჯერობით არც ისე კარგად ესმით, თუ რა ფუნქციები აკისრია ბრენდს. ამ დროს კი სავაჭრო ნიშნები და მარკები ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციასა და განვითარებაში ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ბრენდი, უპირველეს ყოვლისა, საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს. რუსეთის მოქალაქეებს კი, მიიჩნევენ ასოციაციის ორგანიზატორები, დღემდე მარკების მიმართ ჯერ ისევ ის უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, რომელიც "დროებითი მარკების" პერიოდში ჩამოყალიბდა (მაგალითად, "MMM", რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მხოლოდ ფინანსური მაქინაციების საწარმოებლად შეიქმნა).

ასოციაცია რუსეთის მოქალაქეებს ბრენდების დაფასებასა და პატივისცემას ასწავლის. ამისათვის "რუსბრენდი" მზად არის, ჩაატაროს ახსნა-განმარტებითი სამუშაოები მომხმარებელთა შორის და დაიცვას სავაჭრო მარკების მფლობელთა ინტერესები საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ სტრუქტურებში. ასოციაციაში ჩამოყალიბდება კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები, უკვე მოწვეულნი არიან ექსპერტები და "პი-არის" ჯგუფი.

"რუსბრენდი" თავის მეორე მთავარი ამოცანად ისახავს ფართომასშტაბიანი კამპანიის გაშლას კონტრაბანდული საქონლისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რასაც უზარმაზარი ზარალი მოაქვს როგორც თავად კომპანიებისთვის, ასევე მთლიანად ქვეყნისთვის. ამისათვის ასოციაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთანაც.

"რუსბრენდი" აპირებს ებრძოლოს არა მხოლოდ კონტრაბანდას, არამედ "ნაცრისფერ" იმპორტსაც.

ასოციაციის პირველი ღონისძიება 4 ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი – "რუსბრენდი" ამ დღეს რუსეთში პირველად ჩაატარებს "ბრენდის დღეს".

"რუსბრენდში" გაწევრიანდნენ "ადიდასი", "BAT", "ბორჯომი", "კოკა-კოლა", "დენონი", "ერმანი", "ენერჯაიზერი", "ჟილეტი", "ჰეინცი", "ჯონსონ ენდ ჯონსონი", "კრაფტი", "რუსბელი" (ლ`ორეალი), "მარსი", "ნევსკაია კოსმეტიკა", "ნესტლე", "პროქტერ ენდ გემბლი", "ფილიპ მორისი", "რუსსკიე სტანდარტი", "შვარცკოფ/ჰენკელი", "ჩიბო", "უნიბრასკო", "უნილივერი", "ვიმ-ბილ-დანი" და "ველა".

ბრაზილია ახალი კრიზისის მოლოდინში

თორნიკე შარაშენიძე

ბოლო დღეებში ბრაზილიის ბირჟებზე არნახული პანიკა სუფევს. სარეკორდოდ დაბალ მაჩვენებელს მიაღწია ეროვნულმა ვალუტამ, საფონდო ბირჟის ინდექსი კი დღითიდღე დაბლა იწევს. ეს პანიკა წინასაარჩევნო ციებ-ცხელების შედეგია. ინვესტორები სერიოზულად შიშობენ, რომ ერთ კვირაში ბრაზილიის მმართველობას პრეზიდენტობის მემარცხენე კანდიდატი ლუის ინასიო ლულა და სილვა გადაიბარებს, რასაც ქვეყნის ისევ კრიზისში ჩაძირვა მოჰყვება.

ბრაზილიის კეთილდღეობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. იგი თავისი რეგიონის წამყვანი ქვეყანაა და მისი კრიზისი მთელი ლათინური ამერიკის კოლაფსს მოასწავებს. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, ახლა მთელი საქმიანი სამყაროს ყურადღება ბრაზილიის წინასაარჩევნო კამპანიისკენაა მიმართული და მდგომარეობა ბირჟებზე, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო დაიძაბება.

წინასაარჩევნო გამოკითხვების მიხედვით, ლულა მთელი 20 პროცენტით უსწრებს თავის ოპონენტს და გამარჯვების მშვენიერი შანსები აქვს. მისი ხელისუფლებაში მოსვლა კი პოპულისტური რეფორმების გატარებასა და საზოგადო ხარჯების გაზრდას ნიშნავს, რის შედეგადაც ბრაზილიას ძალიან გაუჭირდება 260 მილიარდი დოლარის შიდა და საგარეო ვალის დაფარვა. თუმცა, არსებობს საწინააარმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ლულა, გამარჯვების შემთხვევაში, დაივიწყებს თავის პოპულისტურ დაპირებებს და ახლანდელი მთავრობის მიერ აღებულ კურსს გააგრძელებს. ამდენად, საგანგაშო ისეთი არაფერია.

ჰორსტ კიოლერი

თუმცა, არსებობს მესამე და, ალბათ, ყველაზე უფრო რეალისტური მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პოლიტიკოსთა ხუშტურები ძალიან ბევრსაც არ წყვეტს და ბრაზილიის კრიზისს გაცილებით უფრო სერიოზული მიზეზები აქვს. მართალია, ბრაზილია სავალუტო ფონდის პროგრამებისათვის სანიმუშო მოდელადაა მიჩნეული და მისი განვითარების პერსპექტივებს უმაღლეს შეფასებებს აძლევენ, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი მთლად ასე კარგად არ უნდა იყოს. ბევრი სპეციალისტი სერიოზულადაა შეშფოთებული ბრაზილიის უზარმაზარი ვალით, რომელიც გვარიანად აფრთხობს უცხოელ ინვესტორებს. საქმეს ისეთი პირი უჭირავს, რომ უცხოური კაპიტალი უახლოეს მომავალში ნაკლებად გაეკარება ბრაზილიას, რომელიც ახლა ამას ძალიან საჭიროებს.

და ასეთ ვითარებაში წინასაარჩევნო ციებ-ცხელება, ბირჟებზე პანიკა და ეროვნული ვალუტის დევალვაცია კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას, რადგან მთავრობას დიდი ვალი აქვს დაგროვილი და მისი გასტუმრება ძალიან გაუჭირდება. ბევრი უცხოელი ინვესტორი შიშობს, რომ ბრაზილიამ შეიძლება, საერთოდ, თავისი მეზობლების, არგენტინელების მაგალითს მიბაძოს და საგარეო ვალებზე დეფოლტი გამოაცხადოს– უარი თქვას მათ გასტუმრებაზე.

www.24hours.ge 24 B

ფეხბურთი

ევროპელ მწვრთნელთა აბსტრაქტული თავყრილობა

მიხეილ აბაიშვილი

23-25 სექტემბერს ვარშავაში გაიმართა ევროპის მწვრთნელთა მეხუთე კონგრესი, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ და გერმანიის ერთ-ერთი უმაღლესი სამწვრთნელო აკადემიის მსმენელმა რევაზ არველაძემ მიიღეს მონაწილეობა. გუშინ არველაძემ ამ ფაქტისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართა.

"ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია, დავამთავრო სამწვრთნელო აკადემია. ეს სასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია ევროპაში. მაქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობები. ჩემს სამწვრთნელო გეგმებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დიდ დახმარებას მიწევს ამ საქმის დაუფლებაში. მწვრთნელთა კონგრესზე ჩემი მივლინებაც ამ გარემოებით იყო განპირობებული," – განაცხადა რევაზ არველაძემ.

მისი თქმით, ამ ტრადიციულმა კონგრესმა, რომელსაც ფიფა-ს ტექნიკური დირექტორი ენდი როზბორგი უძღვებოდა, სამი დღის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა, თუმცა, სერიოზული კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღია. მწვრთნელთა წარმომადგენლობითი თავყრილობის მუშაობის გასაიოლებლად მონაწილენი სამ ენობრივ – ინგლისურ, ლათინურ და რუსულ ჯგუფებში დანაწილდნენ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქართველოს წარმომადგენლობა, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის სლავური სახელმწიფოების მწვრთნელებთან ერთად, რუსულ ჯგუფში მოხვდა. უეფა-მ მონაწილეებს რამდენიმე თემა შესთავაზა. თითოეული თემა ჯერ ჯგუფში განიხილებოდა, შემდეგ კი მთავარ დარბაზში გაჰქონდათ სადისკუსიოდ.

კონგრესის პირველი ორი დღის მთავარი მოვლენა მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით გამოსული ორი ევროპული გუნდის - გერმანიისა და თურქეთის ნაკრებთა მწვრთნელების დაჯილდოება და სიტყვით გამოსვლა გახლდათ. ბუნდესნაკრების დამრიგებელმა, რუდი ფიოლერმა, გააანალიზა თავისი გუნდის წარმატება. მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა გაიხსენა წინასაჩემპიონატო კრიტიკა - გერმანელებისგან ხომ მაღალ შედეგს არავინ ელოდა. მეტიც, მას მუნდიალზე ფიასკოს უწინასწარმეტყველებდნენ. ფიოლერის აზრით, ბუნდესნაკრების წარმატება მეტწილად გასულ სეზონში ორი გერმანული კლუბის, დორტმუნდის "ბორუსიისა" და ლევერკუზენის "ბაიერის" წარმატებამ განაპირობა.

თურქეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შენოლ გიუნეშმა, უმაღლეს სამწვრთნელო საზოგადოებას ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქულ ფეხბურთში განხორციელებული რევოლუციური ნახტომის მიზეზებზე ჩააბარა ანგარიში.

კონგრესზე იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თამაშის მსჯელობისას ვიდეოტექნიკის გამოყენება, მატჩის მომსახურე მსაჯთა კორპუსის გაზრდა, სერიოზულ ტურნირებზე მსაჯთა ბრიგადების ერთგვაროვანი ეროვნული ნიშნით დაკომპლექტების მიზანშეწონილობა და ასე შემდეგ. განიხილეს ისეთი წვრილმანი საკითხებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, თამაშის დაწყების წინ ჰიმნისა და მისალმებისთვის გამოყოფილი 15 წუთის 10 წუთამდე შემცირება. განიხილეს 21-წლამდელთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპების ჩატარების ვადების საკითხიც. მწვრთნელთა აზრით, ვადები ისე უნდა შეირჩეს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ფეხბურთელის მივლინება კლუბებს პრობლემას არ უქმნიდეს. მსგავსი რამ არაერთხელ მომხდარა, რის გამოც კლუბებიც დაზარალებულან და ნაკრები გუნდებიც.

რევაზ არველაძის თქმით, საბოლოოდ, კონგრესის მიერ განხილულ საკითხებზე მიღებულმა შენიშვნებმა და წინადადებებმა უფრო რეკომენდაციების ხასიათი შეიძინა, ხოლო მათი ცხოვრებაში გატარება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გავლენიანი ლობისტი გაუმაგრებს ზურგს.

პრესკონფერენციას ესწრებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომელმაც ფედერაციაში დაწყებულ თუ მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება. ამ პოსტს ლერი სულაბერიძე დაიკავებს. მას საფეხბურთო სამყარო ჯერ კიდევ თბილისის "დინამოდან" იცნობს. "დინამოში" მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს ლერი სულაბერიძე კლუბის დირექტორატის წევრი იყო. ჟორდანიას თქმით, ახალი ვიცე-პრეზიდენტი მის კოლეგასთან, რომიკო შოთაძესთან და გენერალურ მდივანთან, ვალერი ჩოლარიასთან ერთად კლუბების ლიცენზირებისა და პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნის საკითხებზე იმუშავებს. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ასეთი ლიგის ჩამოყალიბება უახლოესი პერსპექტივა არ არის, მაგრამ როცა შეიქმნება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფი არა მხოლოდ უეფა-ს ტურნირებში მონაწილეობის პერსპექტივით იქნება მიმზიდველი, არამედ კლუბებს ფინანსური ინტერესიც გაუჩნდებათ.

რაგბი

"დათვებს" უნდა მოვუგოთ

ირლანდია - საქართველო 63:14

ირლანდია: დემპსი, კელი, ო`დრისკოლი, მაგსი (ჰენდერსონი), ჰიკი, ო`გარა (ჰემფრიზი), სტრინგერი (გ. ისტერბი), კორიგანი, ბირნი (შიჰანი), ჰეისი (უოლესი), ლონგუელი (გულენი), ო`კელი. ს. ისტერბი (ქუინლანი), გლესონი, ფოლი.

8 ლელო: *ო`დრისკოლი (2), ჰიკი, მაგსი, დემპსი, ს. ისტერბი, ქუინლანი, გ. ისტერბი.*

7 გარდასახვა: *ო`გარა (5), ჰემფრიზი (2).*

3 საჯარიმო: ო`გარა.

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, ალანია, ხეხელაშვილი, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, შველიძე (მთიულიშვილი), გიორგაძე, ცაბაძე (რატიანიძე), ნადირაძე (კაცაძე), დიდებულიძე, ბოლღაშვილი (გუნდიშვილი, მჭედლიშვილი), ჩხაიძე, ზედგინიძე.

2 ლელო: *კაცაძე, ხამაშურიძე.*

2 გარდასახვა: *ჯიმშელაძე.*

უჩვეულო არაფერი მომხდარა - ნავაგეთ, თუმცა პროგრესული ანგარიშით - 63:14. სამი წლის წინანდელ ანგარიშს, 70:0-ს ნამდვილად ჯობია, მაგრამ სასურველ შედეგს რომ ვერ მივაღწიეთ? ახლა რუსებთან აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება. ვართ კი ამისთვის მზად? პრინციპში, სასწაულს არც ველოდით, მაგრამ, როგორც გია კუბლაშვილმა დუბლინიდან გვაცნობა, გუნდი დაბნეულა, თურმე არც შებოჭვა გამოსდიოდა და მორაგბეები

დენის ჰიკი

დროულად ვერც თავის პოზიციებზე ბრუნდებოდნენ – ეს კი სერიოზულ ანალიზს საჭიროებს. ასეთივე მდგომარეობა იყო რუსეთთან მატჩისას და რუმინელებთანაც, რაც წაგების ფასად დაგვიჯდა.

კლოდ სორელს სერიოზული ანალიზისთვის ორი კვირაღა დარჩა. ეს დრო გუნდის გადასაწყობად სავსებით საკმარისია, მაგრამ საქმე ის არის, ამ ახალ მითითებას მორაგბეები როგორ შეისისხლხორცებენ. ყოფილა შემთხვევა, რომ კლოდ სორელის მითითება ვერ, ან არ შეს-

რულებულა. "თამაშის დაწყების წინ კლოდმა აგვიხსნა, რომ საკუთარ 22 მეტრიან მონაკვეთში ბურთი ხელით არ გვეტარებინა. მეტოქის ნახევარზე გადაგვეტანა და უპირატესობის მოსაპოვებლად იქ გვებრძოლა", -- რუმინეთთან მატჩის შემდეგ განაცხადა ნაკრების კაპიტანმა ვიქტორ დიდებულიძემ. ქართველი მორაგბეები კი იმ მატჩში ყველაფერს საპირისპიროდ აკეთებდნენ და შედეგად, პირველ ნახევარში, სამი ლელო მიიღეს.

მიზანდასახულობა კლოდ სორელის ღირსებაა. მას თავისი გეგმა დუბლინის მატჩისთვისაც ჩამოყალიბებული ჰქონდა. პრესკონფერენციაზე სორელმა განაცხადა, რომ ილუზიებს არ ეპოტინება. კარგად ესმის, ვისთანაც აქვს საქმე, მაგრამ ეცდება, მისი გუნდი ღირსეულად გამოვიდეს.

გამოვიდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მეორე ტაიმში, როცა მცირე ხნით 14:7-საც ვიგებდით. დასანანია, ჩვენი სიხარული ხანმოკლე რომ აღმოჩნდა. ქვა აღმართში წამოგვეწია და მსაჯმა რატომღაც მევლუდ მთიულიშვილი 10 წუთით გააძევა მინდვრიდან. "ამის შემდეგ ირლანდიელებმა სასწრაფოდ ორი ლელო დაგვიდეს", - გვაცნობა გია კუბლაშვილმა. ასე წავაგეთ 49 ქულის სხვაობით...

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გუნდი ესოდენ დიდი დატვირთვისთვის მზად არ აღმოჩნდა. რაგბის კავშირის გენერალური მდივნის გია კუბლაშვილის თქმით, "პირველ ტაიმში გუნდი დაბნეული ჩანდა, არაფერი გამოგვდიოდა - არც შებოჭვა და არც პოზიციური თამაში. ბიჭები თავიანთ ადგილებზე დროულად დაბრუნებასაც ვერ ასწრებდნენ და ირლანდიელებმაც გაიღალეს. პირველ ტაიმში ექვსი ლელო მივიღეთ. კლოდ სორელი ჯერ არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თბილისში სულ სხვა შემადგენლობას გამოიყვანს", - განაცხადა გია კუბლაშვილმა.

გენერალური რეპეტიცია არ გამოვიდა. იმედია, პრემიერა უკეთესი იქნება.

ქადრაკი

ჰოლანდიურად მომართული საჭადრაკო საათი

გიგა გურასაშვილი

1962 წლის 17 ოქტომბერი ქართული საჭადრაკო სკოლისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია. 40 წლის წინათ ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი წარმატება, რომელსაც ქართველმა მოჭადრაკემ მიაღწია. მას შემდეგ ნონა გაფრინდაშვილი კიდევ ოთხჯერ ავიდა დედოფლის ტახტზე, 11-ჯერ კი საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა. სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე მიღწეული წარმატებების ჩამოთვლას ერთი საგაზეთო გვერდიც არ ეყოფა. ყველაფერი კი თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბიდან იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, ამ კლუბიდან დაიწყო საქართველოში საჭადრაკო ბუმი. საერთაშორისო სარბიელზე ქართველ მოჭადრაკეთა ჰეგემონია 30 წელიწადს გრძელდებოდა. ქართული საჭადრაკო სკოლის მიღწევებზე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი.

21 სექტემბერს სტარტი აიღო საჭადრაკო ფესტივალმა "ნონას თასი", რომელიც სწორედ პირველი მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის მოპოვების საიუბილეო თარიღს ეძღვნება. ფესტივალი ხუთ ტურნირადაა დაყოფილი. პირველი ოთხი შვეიცარიული სისტემით გაიმართა და ახლაც გრძელდება. კერძოდ, 21-22 სექტემბერს ჩატარდა 10 წლის მოჭადრაკეთა ტურნირი. გუშინ სტარტი აიღო და დღესაც გრძელდება მოყვარულთა შეჯიბრება (მონვევით), ხოლო 5-6 ოქტომბერს ფესტივალის შესარჩევი ტურნირია. 17-18 ოქტომბერს 16

ნანა ალექსანდრია, ბოი ფრენკი, თარჯიმანი და ჰარი მოლენაარი

წლამდე მოჭადრაკეთა ასპარეზობაა დაგეგმილი. 30 ოქტომბერი-1 დეკემბერი კი "ნონას თასის" მთავარი ტურნირია, რომელიც ნოკაუტ-სისტემით გაიმართება. ეს, რაც შეეხება ფესტივალის კალენდარს.

გუშინ, სანამ ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული მოყვარულთა საჭადრაკო ჩემპიონატი დაიწყებოდა, ჩატარდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც ჩვენი თავყრილობის ძირითადი მიზეზიც გახლდათ. ჰოლანდიის საელჩომ საქართველოში ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ფიდე-ს (ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის) ოფიციალური საათები გადასცა საჩუქრად.

"ჩვენს შეკრებას ორი მიზეზი აქვს, - გვეუბნება საჭადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის ორგზის ვიცე-ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, - დაიწყო საჭადრაკო ფესტივალი "ნონას თასი", რომელიც მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის მოპოვებიდან 40 წლისთავს ეძღვნება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტია საჩუქრები ჰოლანდიიდან. 30 საჭადრაკო ელექტრონული საათი, მართლაც რომ, მისწრებაა ჩვენი პატარა მოჭადრაკეებისთვის. ისინი შეეჩვევიან იმ საათებს, რომლებსაც საერთაშორისო სარბიელზე იყენებენ. მინდა, მადლობა გადავუხადო "ოლიმპიურ ფონდს", რომლის გარეშეც ეს ღონისძიება, ალბათ, არც მოეწყობოდა".

სახელოვანმა მოჭადრაკემ სიტყვა გადასცა ფესტივალის საპატიო სტუმრებს - ჰოლანდიის საელჩოს წარმომადგენლებს საქართველოში, ელჩს ჰარი მოლენაარს და საელჩოს მეორე მდივანს ბოი ფრენკს.

ჰარი მოლენაარი: "ეს მეორე შემთხვევაა, რომ ჰოლანდიის მხარე საქართველოს საჭადრაკო სკოლას ეხმარება. მხოლოდ ერთი წელიწადია, რაც საქართველოში საელჩო დავაარსეთ. ამ ხნის განმავლობაში გავიგეთ, თუ როგორი საჭადრაკო ტრადიციები გაქვთ ქართველებს. თქვენ ნამდვილი გენიოსები გყავთ. მართალია, ჰოლანდია ბევრ რამეშია მისაბაძი, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ჭადრაკს, აქ თქვენ ვერავინ შეგედრებათ. თქვენგან ჩვენც ბევრი გვაქვს სასწავლი. ძალზე შთამბეჭდავი შედეგები გაქვთ. ჩვენგან განსხვავებით, ქართველები ყველაფერს ბავშვობიდანვე იწყებთ. ასეთი მიღწევების პატრონებმა, როგორღა უნდა გაუმჯობესოთ ჭადრაკის დონე, ძალიან საინტერესოა".

ენაწყლიანი მოლენაარისგან განსხვავებით, ბოი ფრენკი ჭადრაკის დიდი ტრფიალი ყოფილა. საელჩოს მეორე მდივანი ქართულად გვესაუბრა: "ჭადრაკი ხალხს აერთიანებს. საქართველო და ჰოლანდია საჭადრაკო ქვეყნებია. თქვენ გყავთ ნონა, ჩვენ გვყავდა მაქს ეივე".

საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ საპატიო სტუმარი ისტორიულ საჭადრაკო მაგიდასთან მიიწვია. 1975 წელს სწორედ ამ საჭადრაკო მაგიდასთან მსოფლიო ჩემპიონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. ასე რომ, საჭადრაკო რეკიკვიემ გუშინ სხვა დატვირთვაც შეიძინა. თამაში ჩატარდა ახალი საათით, რომელიც მოლენაარმა მომართა. მოყვარულთა ტურნირი დაიწყო.

"დინამო" იგებს

საქართველოს ჩემპიონატი. მე-9 ტური: დინამო - მერანი 2:0, მილანი - ბათუმი 0:0, კოლხეთი - დილა 1:0, სიონი - გორდა 2:1, კოლხეთი - ვიტ ჯორჯია ჩაიშალა, როცა ანგარიში 1:3 იყო.

საქართველოს ჩემპიონატის მორიგ ტურში სკანდალი მოხდა. ფოთში კოლხეთი 1913-სა და თბილისის ვიტ ჯორჯიას მატჩში ანგარიში 1:3 იყო სტუმართა სასარგებლოდ, როცა სტადიონზე აყალმაყალი ატყდა და თამაში ჩაიშალა. მატჩის მიმდინარეობით უკმაყოფილო ფოთელებმა შეხვედრის არბიტრი გალახეს, რის გამოც თამაში აღარ გაგრძელებულა. ფოთში მომხდარ ინციდენტს სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს სხდომაზე განიხილავს.

თბილისში კი გათამაშების ლიდერი "დინამო" "მერანს" მასპინძლობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელებმა იოლად გაიმარჯვეს -- 2:0. გოლები ბურდულმა (38) და დარასელიამ (78) გაიტანეს. ამ შეხვედრაში მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ მინდორზე ახალაია გამოჩნდა, რომელმაც შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამასწინანდელ შეხვედრაში ტვინის შერყევა მიიღო.

მატჩის შემდეგ ივო შუშაკმა განაცხადა, რომ მოხარულია ახალაიას გამოჯანმრთელებით და იმედოვნებს, რომ "ლიბერეცთან" შეხვედრისთვის "დინამოს" ფორვარდი მწყობრში იქნება, თუმცა, წინ კიდევ სამი დღეა და დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება.

"მერანის" დამრიგებლის, ოთარ გაბელიას თქმით კი, ასეთი თამაშით "დინამო" "ლიბერეცის" მომგები არ არის, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დინამოელები პრინციპული მატჩის წინ ტრავმებს მოერიდნენ და თავი დაზოგეს. "მჯერა, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი "ლიბერეცის" ბარიერს გადალახავს", -- განაცხადა ოთარ გაბელიამ.

მოკლედ

ველოსპორტი. ესპანური "ვუელტას" დამთავრებამდე ორი ეტაპი დარჩა, მაგრამ რბოლის ლიდერის, რობერტო ერასისთვის, გამარჯვების მოლოცვა ჯერ კიდევ ნაადრევია. მისი უმთავრესი კონკურენტი აიტორ გონსალესი უკანასკნელი შტურმის განხორციელებას აპირებს.

პირველობაზე თავისი პრეტენზია გონსალესმა მე-19 ეტაპზე გამოააშკარავა. სპორტსმენებმა თითქმის 178 კილომეტრი გაიარეს. საუკეთესო შედეგი აჩვენა "ბანესტოს" გუნდის წარმომადგენელმა ვისენტე გარსია აკოსტამ – 4 საათი, 24 წუთი და 37 წამი. თუმცა, მთელი ყურადღება რობერტო ერასსა და აიტორ გონსალესის პაექრობისკენ იყო მიპყრობილი.

გონსალესმა ერასს ოთხი წამით აჯობა. მათ შორის სხვაობა კვლავ შთამბეჭდავია, მაგრამ წინ ორი დამაგვირგვინებელი ეტაპია. თანაც, ბოლო ეტაპზე სპორტსმენებს ელით ინდივიდუალური რბოლა, სადაც გონსალესი, ტრადიციულად, საუკეთესოა.

წლევანდელ "ვუელტაზე", ვალენსიაში, ამ დისციპლინაში, გონსალესმა ერასს წუთი და 37 წამი მოუგო. თუ მადრიდშიც იგივე გამეორდება, გონსალესი რბოლას მოიგებს. გონსალესმა ეს ყველაფერი კარგად იცის და რობერტო ერასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ცდილობს. "მინდა, რობერტოს ახსოვდეს, რამდენად ძლიერი ვარ", - ფინიშის შემდეგ განაცხადა აიტორ გონსალესმა.

ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი საფრანგეთისა და რუსეთის გუნდებს შორის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პარიზში, "ბერსის" სახელგანთქმულ დარბაზში, თიხნარზე გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ.

ფრანგებს რამდენიმე ვარიანტი ჰქონდათ: მატჩი "ბერსის" დარბაზში ან მარსელში უნდა გამართულიყო. ფედერაციამ ამჯობინა პარიზი, სადაც ფრანგებმა, დევისის თასის ნახევარფინალში, ამერიკელებს სძლიეს (3:2), მაგრამ ეს მატჩი "როლან გაროს" ღია კორტებზე გაიმართა. "ბერსი" კი დახურული დარბაზია.

რუსების განცხადებით, თიხნარზე უპირატესობას ფრანგები ფლობენ. მარატ საფინის მთავარი ღირსება ძლიერი ჩაწოდებაა, რაც თიხნარზე თავის უპირატესობას კარგავს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ საფინიც და კაფელნიკოვიც საუკეთესო თამაშებს სწორედ თიხნარზე აჩვენებენ. მაგალითად, კაფელნიკოვს "როლან გარო" აქვს მოგებული, ხოლო საფინი წლეულს იმავე ტურნირის ნახევარფინალში გავიდა.

ყველა შემთხვევაში გუნდების შანსი დაახლოებით თანაბარია. ურთიერთშეხვედრათა ბალანსი ფრანგების სასარგებლოდაა - ისინი 2:1 იგებენ, მაგრამ ამას ფინალის წინ მნიშვნელობა არა აქვს.

ოლიმპიზმი. შვეიცარიის ქალაქი ბერნი უარს აცხადებს, უმასპინძლოს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა და მას აღარ განიხილავენ. ოლიმპიური თამაშებისადმი თვითონ მოსახლეობა იყო ნეგატიურად განწყობილი. კანტონა ბერნის მოსახლეობამ უარი განაცხადა, ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშზე თანხა გადაერიცხა და ამ გზით ორგკომიტეტს დახმარებოდა.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი შვეიცარიის მოსახლეობისგან, სესხის სახით, 15 მილიონი ევროს ამოღებას გეგმავდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

ამჟამად ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებს სამი ქალაქი: ზალცბურგი, ვანკუვერი და ფხენიანი.

ჩოგბურთი

BATUMI LADIES OPEN: სლავური ფინალი

ერთეულთა თანიგი. ნახევარფინალი

ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) - ციპორა ობზილერი (ისრაელი) 6:2, 6:2

ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) - გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) 1:6, 6:4, 6:4

"კიდევ 10 წუთი რომ გაგრძელებულიყო მატჩი, ალბათ, დავვარდებოდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩოგანი ხელიდან მივარდებოდა. ახლაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე მისი დაჭერა", - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა "Batumi Ladies Open"-ის ერთ-ერთმა ფინალისტმა ალიონა ბონდარენკომ გულნარა ფატახეტდინოვასთან ლამის სამსაათიანი ნახევარფინალური პარტიის შემდეგ.

ძალებს ანაწილებს თუ სხვა რამ მიზეზი აქვს, ბონდარენკო მნიშვნელოვან მატჩებში პირველ სეტს აგებს ხოლმე. ასე იყო ტატიანა პუჩეკთან მერვედფინალშიც, როცა ბონდარენკომ პირველი სეტი მშრალზე წააგო და ასე იყო ამჯერადაც - ფატახეტდინოვამ უპრობლემოდ, 6:1 მოუგო მეტოქეს. სამაგიეროდ, უკრაინელმა მეორე და მესამე სეტებში მოახერხა ძალების მობილიზება და მატჩის მოგება. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მესამე სეტის ბოლო გეიმი, რომელიც თითქმის 25 წუთი თამაშდებოდა. ფატახეტდინოვას თავის მოწოდებაზე სამჯერ მიეცა გეიმის მოგების და ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ამდენჯერვე შეეძლო მოგება ბონდარენკოსაც და მესამე ცდაზე მოახერხა კიდეც. "ბოლო სეტში არაფრის თავი აღარ მქონდა. ერთი პირობა გავიფიქრე კიდეც, მატჩი ხომ არ დავთმო-მეთქი, მაგრამ რაღაცამ არ გამიშვა, გადამედგა ეს ნაბიჯი", - მატჩის შემდეგ განაცხადა ფატახეტდინოვამ.

არ ვიცი, რას ეყრდნობოდა მისი ოპტიმიზმი, მაგრამ, ფატახეტდინოვას თქმით, ახლო მომავალში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლები დიდ წარმატებებს მიაღწევენ: "მე მგონი, სულ მალე მსოფლიოში ველარავინ გვაჯობებს. მე ასეთ პერსპექტივას ვხედავ და, მჯერა, რომ ასეც მოხდება". როგორც გაირკვა, მას თავისებური წარმოდგენა ჰქონია ანა კურნიკოვაზეც, უფრო სწორად, მის მოღვაწეობაზე საჩოგბურთო სამყაროში: "ძალიან ჭკვიანურად იქცევა. ჩოგბურთის თამაშს კიდევ მოასწრებს, მაგრამ წლები რომ მოემატება, სარეკლამო რგოლებში აღარავინ გადაიღებს. ასე რომ, სანამ დრო აქვს, უნდა მოასწროს ფულის მოგროვება - ჯერ საკუთარი გარეგნობით, შემდეგ კი - ჩოგბურთით".

თავისი სიტყვების დასტურად, რომელიც საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლთა მომავალ წარმატებებს შეეხებოდა, "Batumi Ladies Open"-ის ფინალში უკრაინელი ალიონა ბონდარენკოსა და ბელარუსი ნადეჟდა ოსტროვსკაიას გასვლა მიიჩნია. ოსტროვსკაიას მეტოქე ნახევარფინალში ისრაელის წარმომადგენელი ციპორა ობზილერი იყო. მერვედფინალსა და მეოთხედფინალში ობზილერმა ისეთი თამაში აჩვენა, ვერავინ იფიქრებდა, თუ ნახევარფინალურ პარტიას ასე ოლად დათმობდა. ასე კი მოხდა. ოსტროვსკაიამ ორ სეტში სძლია მეტოქეს და დღეს, შედარებით დასვენებული, ფინალში ბონდარენკოს შეხვდება. იქნებ წლეულს მაინც აიხდინოს ნატვრა და ბათუმის ტურნირი მოიგოს - შარშან ხომ ფინალში ტატიანა პუჩეკთან წააგო.

ვერდის "რეკვიემი" ოპერის თეატრში

მადი სერებრიაკოვა

5 ოქტომბერს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი თბილისის ოპერის თეატრში ვერდის "რექკიემს" შეასრულებს. ღონისძიება ორი მიზეზის გამოა საინტერესო. პირველ რიგში, იგი ევგენი მიქელაძის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებათა სერიას გახსნის. მეორე ის, რომ სოლისტთა შემადგენლობა, რომელიც მსოფლიო სცენის ქართულ თანავარსკვლავედს წარმოადგენს, თავისთავად, უკვე ღირსშესანიშნავი ფაქტია. ორკესტრის დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ მაჭავარიანმა თბილისში მოიწვია სახელგანთქმული ქართველი ბანი პაატა ბურჭულაძე, დიდი თეატრის სოლისტები მაყვალა ქასრაშვილი, ბადრი მაისურაძე და ევროპაში მოღვაწე ახალგაზრდა თეა დემურიშვილი.

ამ მნიშვნელოვან მოვლენას ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრი ისევ ექსტრემალურ მდგომარეობაში ხვდება. გარდა იმისა, რომ ორკესტრი, უკვე რამდენიმე წელია, უსახლკაროდაა დარჩენილი, მათ კიდევ ერთი ახალი პრობლემა შეექმნათ - ევროპაში საგასტროლოდ წასული ორკესტრის რამოდენიმე წევრი უცხოეთში არალეგალურად დარჩა. როგორც ვახტანგ მაჭავარიანმა აღნიშნა, ამ ფაქტმა ძლიერ შეარყია ორკესტრის რეპუტაცია. ამასთან, საფრანგეთში დარჩენილ მუსიკოსებს შორის აღმოჩნდა ვალტორნეების მთელი ჯგუფიც, რომელთა ჩანაცვლებაც ამჟამად, ფაქტობრივად,შეუძლებელია. თუმცა, დირიჟორმა დაგვაიმედა, რომ საკონცერტოდ "რეკვიემი" ვალტორნების გარეშე არ დარჩება - ღონისძიებისთვის რამოდენიმე მუსიკოსს ბათუმიდან მოიწვევენ.

ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრის საიუბილეო სეზონი ერთი საინტერესო პრემიერითაც აღინიშნება - ვერდისავე "ფალსტაფით". "ფალსტაფი" საქართველოში პირველად შესრულდება. საგანგებოდ ამ დღისთვის ევროპიდან 6 სოლისტია მოწვეული, მათ შორის, საკმაოდ ცნობილი - გიუნტერ ფონ კანენი. "ფალსტაფს" 4 ნოემბერს ვიხილავთ, მანამდე კი წინ გვაქვს ვერდის "რეკვიემი," რომელსაც რამოდენიმე დღეში მოჰყვება მეორე "რეკვიემი," ამჯერად - მოცარტის. ამ თხზულებას 7 ოქტომბერს სიმფონიურ ცენტრში ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" წარმოადგენს.

კალენდარი

29 სექტემბერი

"მოცლილო მკითხველო, დაუფიცებლად დამიჯერებ, თუ როგორ მსურს ეს ჩემი წიგნი, ჩემი ჭკუა-გონების შვილი, ყველა წიგნზე მშვენიერი, ყველაზე სასიამოვნო საკითხავი და გონივრული იყოს... მაგრამ განა შემეძლო, ბუნების კანონებს წინ აღვდგომოდი? ნათქვამია: როგორიც მამა – ისეთი შვილიო, ამიტომ ჩემი უნაყოფო და გაუნათლებელი ჭკუის ნაწარმოები სხვა რა უნდა იყოს, თუ არა მოთხრობა გაძვალტყავებულ, ჩაჩანაკ და ახირებული ხასიათის, ნაირ-ნაირი აზრებით შეპყრობილ გმირზე," – ამ ციტატას ავტორის მინიშნება არ სჭირდება. ყველამ კარგად იცის, ასე იწყება სერვანტესის "დონ კიხოტი". სერვანტესის ცხოვრების ბევრი დეტალი უცნობია. ცნობილია ის, რომ სალამანკის უნივერსიტეტში სწავლისას დაწერა პირველი პოემა "ფილენა", რამდენიმე სონეტი და რომანსები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, იყო რომის პაპის ელჩის მდივანი, მონაწილეობდა ლეპონტოს ბრძოლაში. სწორედ ამ ბრძოლაში დაკარგა მან მარცხენა ხელი... ამის მერე იყო არაერთი ომი თუ შეტაკება, მაგრამ როცა სახელოვანი მწერალი გახდა, განსაკუთრებული სიამაყით მაინც ლეპონტოს ბრძოლას იხსენებდა და ამბობდა: "მარცხენა ხელის დაკარგვით მარჯვენა ხელი უფრო ვასახელეო".

მიგელ დე სერვანტეს საავედრა 1547 წლის 29 სექტემბერს დაიბადა.

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

✓ კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
ოთარ მაღრაძის კვარტეტი (საქართველო), ევან სვენსონის ტრიო (შვედეთი)
დას: 20:00 სთ

✓ თბილისის მუსიკალური ცენტრი
საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" 2002
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა
სოლისტები: ნაირა ნაჩხატაშვილი (სოპრანო), თამაზ ცერიაშვილი (ტენორი, ბარიტონი)
სტრავინსკი, ფსალმუნთა სიმფონია
სტრავინსკი, სუიტა ბალეტიდან "ფასკუნჯა"
ორფი, "კარმინა ბურანა"
დირიჟორი, ვახტანგ კახიძე
დას: 19:00 სთ

თეატრები

✓ რუსთველის თეატრი
სეზონის გახსნა, პრემიერა
სამუელ ბეკეტის "გოდოს მოლოდინში", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ, ფასი 1-10 ლარი

✓ „ჯიბის თეატრი„
"ცხოვრება საწვავის გარეშე", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

✓ თეატრალური სარდაფი
"ფიგაროს ქორწინება", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

✓ თავისუფალი თეატრი
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19 სთ, ფასი 3,5 ლარი

საგამოფენო დარბაზები

✓ TMS
ჩინეთისა და საქართველოს თანამშრომლობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

✓ ძველი გალერეა
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, "მხატვრებთან ერთად", ეძღვნება სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეს

✓ „ძარვასლა„
ვახო ბუღაძის ნამუშევრების გამოფენა, ფერწერა
ევროსაბჭოს გამოფენა "ანტიკური ქალაქები"
გახსნა 17:00 სთ

კინოთეატრები

✓ „ამირანი„
"ასტერიქსი და ობელიქსი", მთავარ როლებში: ჟერარ დეპარდიე, მონიკა ბელუჩი
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ; ფასი: 5,6,7 ლარი
"უძილობა", მთავარ როლებში: ალ პაჩინო და რობინ უილიამსი
დას: 18:00; 22:00 სთ; ფასი: 7 ლარი

✓ „რუსთაველი„
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ვნება", მთავარ როლში რიჩარდ გირი
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 21:30 სთ; ფასი 9 ლარი

გემოვნებიანი ჯაზი შვედეთიდან

ივენ სვენსონი თერთმეტი წლის შემდეგ ისევ თბილისშია

ვერა ნეფარიძე

ივენ სვენსონი, იასუჰიტო მორი, მაგნუს გრანი

დღეს კონსერვატორიის სტუმრები შვედური და ქართული ჯაზის სახელმოხვეჭილ შემსრულებლებს მოუსმენენ. აღსანიშნავია, რომ მსმენელი "ივენ სვენსონის ტრიოს" შემოქმედებასაც კარგად იცნობს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ოთარ მაღრაძის კვარტეტზე. სვენსონი თბილისში 1989 წელს, ჩვენთვის საამაყო ჯაზ-ფესტივალზე გამოვიდა. შვედი გიტარისტის მაშინდელი გამოსვლა ვერც მსოფლიო ჯაზის ლეგენდებმა"დაჩრდილეს" და ეს თბილისელებს დღესაც კარგად ახსოვთ.

"შვედი გიტარისტი ივენ სვენსონი ნამდვილი შემომქმედი და ძალიან გემოვნებიანი მუსიკოსია", - დასავლური პრესის ასეთ დახასიათებას თბილისელი მელომანებიც იზიარებენ. სვენსონი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო შვედ ჯაზ-გიტარისტად, რომელიც 70-იანი წლების დასასრულიდან მოღვაწეობს; დღეისათვის იგი ერთდროულად მრავალი წარმატებული მუსიკალური კოლექტივის ლიდერი და უბრალოდ, წევრია.

ივენ სვენსონმა პირველი ჯგუფი, ტრიოს სახით, 1984 წელს ჩამოაყალიბა. მალე ის "ივენ სვენსონის კვარტეტად" იქცა, რომელიც ცვალებადი შემადგენლობით საკონცერტო ტურნეებს აწყობდა, ძირითადად, სკანდინავიასა და იაპონიაში. კვარტეტის ჩანაწერები წარმატებით იყიდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 1987 წელს გიტარისტი ახალ ტრიოს ჩაუდგა სათავეში, რომელშიც მან ცნობილი პოლონელი საქსოფონისტი ზბიგნევ ნამისლოვსკი მიიწვია. ასეთი შემადგენლობით პირველი ტურნე ტრიომ შვედეთში მოაწყო. ორი ნიჭიერი მუსიკოსის თანამშრომლობა წლების განმავლობაში წარმატებით გრძელდებოდა. ტრიო მრავალ ფესტივალში მონაწილეობდა, გამოდიოდა ტელევიზიითა და რადიოთი; დროგამოშვებით მისი წევრები სხვადასხვა მუსიკოსებსაც ეხმარებოდნენ სტუდიური ჩანაწერების შექმნაში.

"ივენ სვენსონის ტრიო" თბილისში შემდეგი შემადგენლობით გამოვა: ივენ სვენსონი - გიტარა; იასუჰიტო მორი - კონტრაბასი; მაგნუს გრანი - დასარტყამი საკრავები. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მათი თბილისურ ფესტივალზე მონაწილეობა შვედეთის კულტურულ ურთიერთობათა ეროვნული საბჭოს დახმარებით გახდა შესაძლებელი.

ჯაზ-ფესტივალის სტუმრებისთვის არანაკლებ სასიამოვნო იქნება დღევანდელი პროგრამის ქართული ნაწილის მოსმენა. დღეს "ოთარ მაღრაძის კვარტეტში" ცნობილ ფლეიტისტს, დათო ოძელაშვილს უნდა დაეკრა...ეს ფესტივალი პირველი მუსიკალური ღონისძიება იქნება,სადაც ქართველი მსმენელი პირველად იგრძნობს "ოძელას" დანაკლისს. (მუსიკოსი ასევე უნდა გამოსულიყო 6 ოქტომბერს "გილმორ-პეტერსონ-ალენ ტრიოსთან" ერთად). დღევანდელ ქართულ პროგრამას რაც შეეხება, მისი ძირითადი ნაწილი, კვარტეტისთვის ჩვეულ, ქართულ თემატიკაზე იქნება აგებული. ცნობილ პიანისტთან, ოთარ მაღრაძესთან ერთად დაუკრავენ: ვალერი ფაილოძე (დასარტყამი ინსტრუმენტები) და ოთარ საგანელიძე (კონტრაბასი).

პოლიტიკურად აქტივირებული მოსახლეობა და აპოლიტიკური ხელოვნება

თამარ სუხიშვილი

წლეულს ქართველი ხელოვანები (მხატვრები, რეჟისორები, ფოტოგრაფები...) კიდევ ერთ საინტერესო საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას. ორგანიზაცია "აპოლონიას" ინიციატივით სტრასბურგსა და სალონიკში კავკასიის პროექტი განხორციელდება.

საზოგადოება "აპოლონია", რომელიც 1998 წელს დაფუძნდა სტრასბურგში, ევროპის ქვეყნების ხელოვნების მოღვაწეთა შორის თანამშრომლობის დამყარებას ისახავს მიზნად. ორგანიზაციას სათავეში უდგას ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი დიმიტრი კონსტანტინიდისი.

შარშან ევროპული ხელოვნების გაცვლით პროექტში მხოლოდ ერთი ქართველი მონაწილეობდა, ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი შალვა ხახანაშვილი, რომელიც, უკვე ხუთი წელია, პარიზში ცხოვრობს.

გასულ წელს პროგრამის პრიორიტეტი ბალკანეთის პრობლემატიკა იყო. წელს ევროპელმა ხელოვანებმა კავკასიას მიაპყრეს მზერა და "აპოლონიამ" თანამშრომლობა შარშანდელი პროგრამის ერთადერთ ქართველ მონაწილეს შესთავაზა. შალვა ხახანაშვილი, რომელმაც თვითონაც წამოაყენა პროგრამაში საქართველოს ჩართვის წინადადება (ამჯერად ის პროგრამის რამდენიმე პროექტის კურატორია), სიამოვნებით დათანხმდა და მარტში, ბერძენ კოლეგასთან ერთად, თავის სამშობლოს და მეზობელ ქვეყნებს – საქართველოსა და აზერბაიჯანს ეწვია. მერე ორგანიზატორები დასხდნენ, იფიქრეს, იმსჯელეს, აწონ-დაწონეს და პროგრამის მონაწილეები შეარჩიეს.

მოგზაურობის დროს გამოიკვეთა კავკასიის ხსენებულ ქვეყნებში თანამედროვე ხელოვნების განვითარების განმსაზღვრელი პრიორიტეტული თემები – სოციალური თემატიკა (განსაკუთრებით, ბავშვების თემა), ეკოლოგიური პრობლემები და ინდივიდის იდენტიფიცირების, საკუთარი თავის ძიების საკითხი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თანამედროვე ხელოვნება აბსოლუტურად დეპოლიტიზირებული აღმოჩნდა, რამაც სტუმართა დიდი გაოცება გამოიწვია, რადგან არსებულ წეს-წყობილებასთან ბრძოლის, კონფრონტაციის, მოქალაქეობრივი გულისტკივილის გამოხატვა ძალინ აშკარა და აქტუალურია დღევანდელ ევროპულ ხელოვნებაში. ასეთი დაკვირვება ერთგვარად მოულოდნელი (გნებავთ, პარადოქსული) აღმოჩენაა: პოლიტიკურად ზედმეტად აჟიტირებული მოსახლეობა და აპოლიტიკური ხელოვნება. თუ ეს მართლა ასეა, ის ცალკე ანალიზისა და მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, თუკი Art-ის ქართველ მსახურებს დააინტერესებს.

შალვა ხახანაშვილი ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჩვენს გაზეთს შალვა ხახანაშვილი რამდენიმე დღის წინ ესტუმრა (ეს იყო მეორე ვიზიტი საქართველოში გაზაფხულის შემდეგ) და უფრო დაწვრილებით გვესაუბრა მომავალი ღონისძიების გეგმებზე: "კავკასია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 4 პროექტით იქნება წარმოდგენილი: თანამედროვე ფოტოგრაფია (მათ შორის, რეკლამის, დიზაინის და მოდის ფოტოგრაფია), ისტორიული ფოტოგრაფია, ვიდეოარტი და კინო. გამოფენებთან ერთად პროგრამა მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ითვალისწინებს: ვიდეოფორუმის მოწყობას, კულტურის მინისტრთა შეხვედრას, შეკრებებს, საუბრებს ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე," – გვაცნობს სავარაუდო გეგმებს შალვა ხახანაშვილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოფენა "სამი ქალაქი – სამი შეხედულება", საც საქართველოდან გურამ წიბახაშვილის თვალით დანახული ქალაქური ხედები და სახეები გამოიფინება. ყურადსაღებია, რომ კავკასიის ისტორიული ფოტოგრაფია მე-19 საუკუნის ქართველი ფოტოგრაფის – ალექსანდრე როინაშვილის 30-მდე ნამუშევრით (ფოტოასლით) იქნება წარმოდგენილი. კავკასიური პროექტის კატალოგს წაემძღვარება ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომლითაც მან ქართველი ფოტოგრაფი უკანასკნელ გზაზე გააცილა.

რაც შეეხება კინორეტროსპექტივას, - აქ, აღიარებულ ქართველ რეჟისორებთან ერთად, სალონიკში ახალგაზრდა რეჟისორების ფილმებსაც გაეცნობიან. სომხებმა ამჯერადაც ჩვეული წინდახედულება გამოიჩინეს, დაგვასწრეს და ქართული კინემატოგრაფის თვალსაჩინო წარმომადგენელი სერგო ფარაჯანოვის ფილმები სომხური კინოპროდუქციის ნუსხას მიათვალეს. პროექტის ქართველი ორგანიზატორი თავს იმით იმშვიდებს, იური მეჩითოვის ფოტოგამოფენა მოეწყობა, ფარაჯანოვზე გადაღებული ფოტოსერიითო (?).

"აპოლონიას" მიერ ორგანიზებული ხელოვნების ფესტივალი კავკასიის ქვეყნებს ნოემბერში უმასპინძლებს, თუმცა სამი ქვეყნის – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთგვარი პრეზენტაცია სტრასბურგში უკვე მოეწყო, საზაფხულო უნივერსიტეტის სახით, რომელიც 23 სექტემბერს გაიხსნა და სამი დღე გაგრძელდა. აქვე გაიმართა სამი (ბალკანელი, აზერბაიჯანელი და სომეხი) მხატვრის პერსონალური გამოფენაც. როგორც გაირკვა, ქართველ მხატვარს, გიო სუმბაძეს სემინარში მონაწილეობაზე უარი უთქვამს, თეორიული საკითხები არ მაინტერესებსო. სემინარზე მოხსენებით მიწვეულნი იყვნენ ნინო მეტრეველი N-გალერეიდან და სამხატვრო აკადემიის პრორექტორი გია ბუღაძე. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, სკოლაში არ გამოცხადებულა, რადგანაც 24-ში მან ძველ გალერეაში საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა გამოფენით, ამ დღეებში კი სიმფონიურ ცენტრშიც იმყოფებოდა ბაშმეტისა თუ ტრეტიაკოვის კონცერტზე ვაჟიშვილთან ერთად.

ჩვენთვის შალვა ხახანაშვილთან შეხვედრის დროს არანაკლებ საინტერესო იყო სამშობლოდან შორს მყოფი ხელოვანი კაცის შთაბეჭდილებები აქაურობის შესახებ, რა შეიცვალა საქართველოში ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, რამდენად იცნობენ საფრანგეთში ქართულ კულტურას და სხვა და სხვა. ჩვენ ვისაუბრეთ ამ საკითხებზე - სამწუხაროა, მაგრამ შორიდან მხოლოდ სტაგნაცია ილანდება. საუბრის შედეგები ასეთი სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- "საქართველო დღესდღეობით იმავე პრობლემების წინაშე დგას, რაც აქ, დაახლოებით, 10 წლის წინ არსებობდა, არ შეიქმნა ეკონომიკური ბაზა, თანამედროვე ინფრასტრუქტურები; აქ არის რამდენიმე გალერეა, მაგრამ არ არსებობს ხელოვნების მუდმივმოქმედი ცენტრი, არც არქივია, არც კატალოგი... როცა საქართველოში ხელოვნების მდგომარეობაზე ლაპარაკობენ, იმთავითვე მხატვრის სახლი წარმომიდგება ხოლმე თვალწინ – ასე თუ ისე, ყველა შენობა აღადგინეს, ზოგი - პირვანდელი სახით, ზოგიც რესტორნად გადააკეთეს, მხატვრის სახლი კი არავის აუშენებია... საზღვარგარეთ ქართულ კულტურას მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეებში იცნობენ, ეს იმიტომ, რომ ჩვენი კულტურის პროპაგანდა არ მიმდინარეობს. საქართველოს გარეთ გასული ცალკეული ქართველი მხატვრები, მუსიკოსები თუ მომღერლები უცხოეთში "ქართულ კლიმატს" ვერ ქმნიან. არადა, საქართველოში უდიდესი პოტენციალია, ჩვენ ჯოკერი გვიჭირავს ხელში, მაგრამ ამ ჯოკერის გამოყენება არ ვიცით."

ეს იდუმალი კამა გინკასი

ფესტივალი "საჩუქარი" დღეს იხურება

თამარ მურვანიძე



სცენა სპექტაკლიდან მარიკა ამყრელაძვილის ფოტო

ფესტივალი "საჩუქარი" დღეს მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრის სპექტაკლით დაიხურება. "კ.ი. დანაშაულიდან" ის სპექტაკლია, რომელშიც ცნობილმა რეჟისორმა კამა გინკასმა "ბროლის ტურანდოტი" მიიღო. წარმოდგენა ნაჩვენები იქნა სანკტ-პეტერბურგში, კიევში, სტოკჰოლმში, ჰელსინკში, მონაწილეობდა ავინიონის ფესტივალზე...

კამა გინკასს რუსეთის თანამედროვე თეატრში ერთ-ერთ რთულ პიროვნებად იცნობენ, ძნელად ამოსახსნელ და საიდუმლოებით მოცულ რეჟისორად. მეტაფორა, ატრაქციონის ელემენტები და "მონტაჟის თეატრი" – ეს მისი სტილია. როგორც ამბობენ, სპექტაკლებს, პიესების მიხედვით კი არა, სცენარების მიხედვით დგამს. ირჩევს მხოლოდ კლასიკოსებს. არ უყვარს დიდი სცენა, მისთვის პატარა სცენა და მცირერიცხოვანი მაყურებელიც საკმარისია, მთავარია, მაყურებელს უყვარდეს და ესმოდეს თეატრი.

მოსკოველმა მაყურებელმა კარგად იცის, რომ თეთრი ოთახი რეჟისორის ჩანაფიქრის განსახორციელებლად იდეალური ადგილია. ასეთი ოთახი მარჯვანიშვილის თეატრშიც გამოიძებნა. პიესა (გნებავთ, სცენარი) სპექტაკლისათვის "კ.ი. დანაშაულიდან" (დოსტოევსკის რომანის მიხედვით) კამა გინკასისა და ჰენრიეტა იანოვსკაიას ვაჟს, დანიელ გინკს ეკუთვნის. მოქმედება ორ მომიჯნავე, ფაქტობრივად, უდეკორაციო სათამაშო სივრცეში მიმდინარეობს. თავიდან მაყურებელი დაბნეულია, უკვირს, იცინის და შთაბეჭდილება ექმნება, რომ ეს ფარსია (მაყურებელი თვითონაც ამ ფარსის მონაწილე ხდება), მაგრამ შემდეგ ეს სიცილი ტრაგიკულობამდე მიდის. უბედური ქვრივი კატერინა ივანოვნა, რომლის როლს მართლაც რომ ბრწყინვალედ ასრულებს ოქსანა მისინა, თავის შეშლილ სამყაროშია ჩაკეტილი და, ამავე დროს, თავისუფალი პიროვნებაა, ის ისწრაფვის სიკვდილისაკენ და თან საოცრად უყვარს სიცოცხლე. ამ გმირს თანდათანობით შევყავართ იმ სამყაროში, რომელიც ძალიან დამთრგუნველია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და მძიმეა სპექტაკლის მიზანსცენა: კატერინა ივანოვნა თეთრ კიბეზე ადის და იქ, ზევით, განწირულად აბრახუნებს კარიბჭეზე, მაგრამ ვერც იქ პოულობს პასუხს. ეს ბედთან მისი უკანასკნელი გაბრძოლებაა.

სპექტაკლის ნახვის შემდეგ მაყურებელს ისღა დარჩენოდა, გაემეორებინა სიტყვები, რომლებიც არაერთხელ უთქვამთ მოსკოველ რეჟისორზე: "ოჰ, ეს იდუმალი კამა გინკასი". დღეს ოქსანა მისინა და მისი უმცროსი პარტნიორები (კატერინა ივანოვნას შვილები) სპექტაკლს კიდევ ერთხელ ითამაშებენ.

Газета 24 часа

Ежедневная газета объявлений

29 декабря, среда, 2002 год. № 119

Продаю

Автомобили

ВАЗ-2109, 1998 г.в., серебристый, 4 новых колеса, музыка, сигнализация, 2 комплекта резины. Цена 2900 $. Тел. 14, 8(99) 11 65 56

Audi A4 Avant 2.5 TDI quattro, 2001 г., 6-ступ. механика, 180 л.с., 5 цилиндров, 4 подушки безопасности, ABS, ESP, кондиционер, 6 CD, литые диски, тонированные стекла, фаркоп, сигнализация с автозапуском, зимняя резина на дисках. Пробег 98 000 км. Цена 12 500 $. Тел. 8(99) 76 51 73

Audi 100 2.3 E, 1990 г., 5-ступ. механика, 136 л.с., бензин, 5 дверей, 2 подушки безопасности, ABS, кондиционер, электростеклоподъемники, электрозеркала, 6 CD, литые диски, тонированные стекла, фаркоп, сигнализация с автозапуском, зимняя резина на дисках. Пробег 98 000 км. Цена 12 500 $. Тел. 8(99) 76 51 73

Audi A6 2.4 Multitronic, 1998 г., вариатор, 170 л.с., бензин, 4 двери, 4 подушки безопасности, ABS, ESP

შოუბიზნესს დისერტაცია ჯობია

რამდენიმე დღის წინ, ნიუ იორკში გამართულ ცერემონიალზე რუსეთის წარმომადგენელ ოქსანა ფედოროვას "მის მსოფლიოს" საპატიო ტიტული ჩამოართვეს და ეს წოდება მეორე ადგილზე გასულ "მის პანამას" გადასცეს. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ კი ყოფილმა "მის მსოფლიომ" პრესკონფერენცია მოაწყო და შეეცადა, ბოლო დღეებში აგორებული ჭორები როგორმე გაეფანტა.

ჭორები ამ კვირაში მართლაც მრავლად დაგროვდა. აცხადებდნენ, რომ ოქსანა ფედოროვამ კონტრაქტის რამდენიმე პუნქტი დაარღვია და გვირგვინი ამიტომაც ჩამოართვეს. ძირითად დარღვევად კი ზედმეტ წონას უთვლიდნენ. თუმცა, 24 წლის, პროფესიით პოლიციელმა, გოგონამ ყველაფერი უარყო. "არც გავსუქებულვარ, არც ორსულად ვარ და არც საიდუმლოდ გავთხოვილვარ", - განაცხადა მან. ჟურნალისტებთან საუბარში ყოფილმა მის მსოფლიომ პატრიოტიზმიც გამოავლინა. "მე რუსი ვარ და კონტრაქტი, ინგლისურთან ერთად, რუსულ ენაზეც უნდა გამოეგზავნათ. მე კი მხოლოდ ინგლისური ვარიანტი მივიღე", - აღნიშნა მან. ფედოროვას განმარტებით, მას კონტრაქტი ერთი კონკრეტული მიზეზის გამო გაუუქმეს. ის შოუბიზნესიდან ორთვიან შვებულებას ითხოვდა, რათა ამ პერიოდში სადოქტორო ნამუშევარის დაცვა მოესწრო. თუმცა, მეორე მხარემ ამ კომპრომისზე წასვლა არ ისურვა. ფედოროვამაც სამყაროს ულამაზესი ქალის ტიტულს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსაპოვებელი დოქტორის წოდება არჩია და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით ახარებთ ფედოროვას პროფესორებს. პეტერბურგის შს სამინისტროს უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ოქსანა ძალზე ნიჭიერი სტუდენტია და მან სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა აუცილებლად უნდა დაასრულოს. ყოფილი "მის მსოფლიოც" აპირებს, პეტერბუგში დარჩეს და კარგი კარიერა გაიკეთოს.

სხეულის კვალდაკვალ

ვაშინგტონში, ხელოვნების ეროვნულ გალერეაში დღეს გახსნილი ორი გამოფენა მთლიანად ადამიანის სხეულს ეძღვნება. ამერიკელი აბსტრაქციონისტის ვილემ დე კუნინგის ნახატებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება სკულპტურებიც, რომლებიც ქანდაკების ისტორიის 900 წელს მოიცავს. მათ, მუდმივი ექსპოზიციის სახით, გალერეის 22 დარბაზში მიუჩენენ ადგილს. პროექტის გრანდიოზულობის ხაზგასასმელად ჟურნალისტები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ დარბაზების საერთო ფართობი თითქმის ფეხბურთის მოედნის ორი მესამედის ტოლია. თუმცა, გალერეების ფართი, ხელოვნებამცოდნეთათვის, ბუნებრივია, მეორეხარისხოვანია. ექსპერტები დღეს გახსნილ გამოფენას უფრო სხვა ნიშნით გამოარჩევენ. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ ეს ექსპოზიცია მსოფლიოში ერთადერთია, რომელიც ედგარ დეგას სკულპტურების უდიდეს კოლექციას შეიცავს. მართლაც იშვიათად თუ მოიძებნება გალერეა, რომელიც ფრანგი იმპრესიონისტის ამდენ ქანდაკებას ფლობდეს. დეგამ, რომელიც განთქმულია ბალერინებისა და ცხენების ტილოებით, თავის სიცოცხლეში საზოგადოებას ერთადერთი ქანდაკება უჩვენა: ცვილში ჩამოსხმული 14 წლის მოცეკვავე გოგონა, რომელსაც ნამდვილი "პაჩკა" ეცვა. ამიტომ ყველა გაოცდა, როცა მხატვრის პარიზულ სტუდიაში, დეგას გარდაცვალების შემდეგ (1917 წ.), 150 ქანდაკება აღმოაჩინეს. გალერეის ექსპერტის, შელი სტურმანის განმარტებით, მხატვარი ამბობდა, რომ ჯერ ქანდაკებებზე მუშაობა დასრულებული არ ჰქონდა და ამიტომაც არ ჩქარობდა მათ ბრინჯაოში ჩამოსხმას. ვაშინგტონის გალერეაში წარმოდგენილი კუნინგის გამოფენა მოიცავს 1938-1955 წლებში შესრულებულ ნამუშევრებს. მათგან ბევრი იმდენად აბსტრაქტულია, რომ მხოლოდ პროფესიონალი ექსპერტის თვალი თუ აღიქვამს მათში ქალის შიშველ სხეულს.

ვაშინგტონის გალერეაში დეგას უცნობ ქანდაკებებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება ზემოთხსენებული პატარა ბალერინის ოთხი ვარიანტიც, მათგან ორი – შიშველი.

ადამიანის სხეულისადმი მიძღვნილი მეორე გამოფენა კი იმპრესიონისტულ ხედვას აბსტრაქტულით შეცვლის. ექსპოზიციას "ფიგურის კვალდაკვალ" ერქმევა და მნახველს სხეულის სხვადასხვა ფორმებს ვილემ დე კუნინგის ნამუშევრებით გააცნობს.

ჰოლანდიაში დაბადებულ-აღზრდილი ვილემ დე კუნინგი ამერიკელი აბსტრაქტული ექსპრესიონისტების ლიდერად ითვლება. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ კუნინგმა და მისმა მიმდევრებმა შეძლეს, დასავლური ხელოვნების დედაქალაქი პარიზიდან ნიუ იორკში გადაეტანათ.

სკანდვორდი



TV პროგრამა 29 სექტემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "ნიკიტა"
11.50 ველური გუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 00.40კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 მონტელბანო
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.40 "ჯეოსელის კინოკლუბი"
00.50 მხ.ფ. "მომაკვდინებელი ზაფხული" მთ. როლებში ჟან გაბენი, იზაბელ აჯანი
02.30 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 "მოამგე"
08.15 მხ. ფილმი "ფრენკის ვარსკვლავები"
10.00 დილის პაემანი
11.05 "დიდი დასვენება"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 ჯაზის სალამო
13.05 მოსკოვი-თბილისი
13.35 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 საინფორმაციო პროგრამა
15.15 კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "ბნელ ოთახში"
16.40 "საკვირაო გამოფენა"
17.00 ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი: "ლოკომოტივი" (თბილისი) - "ტორპედო" (ქუთაისი) შესვენებისას ტაიმ-აუტი
18.55 "ოქროს ვექტორი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 "ტაიმ-აუტი"
20.55 "ამბოგენ"
21.25 "მუსიკალური ოქტაბონი"
22.10 ტელესერიალი "ფორსაიტების საბა"
22.50 "ჩემი მშვენიერი ლედი"
23.10 ქართ. მხ. ფილმი "ისინი"
01.35 "ტაიმ-აუტი"
01.45 მხ. ფილმი "სიყვარულის ხიფათები"

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "კომედია" მულტფილმი "ჯიმი ნეიტრონი: ბიჭი-გენია"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "უკანასკნელი ციხესიმაგრე".
01.40 ღამურა "შეშლილი სესილ "ბ".
03.10 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გრაზე
20.30 ვიცი
20.50 ნიკო ლორთქიფანიძეს მონოსპექტაკლი
21.55 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "სიყვარულის ტყვე ქალი"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები ბიბლიაზე
19.00 მულტფილმი
20.00 იქ სადაც სიყვარულია
20.20 თავისუფალი მიკროფონი
20.40 მოგზაურობა გავშვობაში
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "მეორე კანი"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.10, 21.55, 00.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სიყვარულის ცეკვა"
10.20 მხ.ფ. "ველოსიპედისტი".
20.00 მხ.ფ. "დაუმტვრიე ქვლები"
22.30 მხ.ფ. "ოცნება - არიზონა"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდ. მხ.ფილმი "საუკეთესო მოთამაშე"
14.30 მხ.ფ. "მოასწრო გახსენება"
16.00 მხ.ფ. "ბრწყინვალება"
17.30 მხ.ფ. "მოწყდი ვარსკვლავებს"
19.10 მხ.ფ. "სახელმწიფოს მტერი"
20.30, 00.00 "დღეს"
21.00 ჯაზ-პარნასი
22.00 მხ.ფ. "ომი"
00.20 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"

მეცხრე არხი

09.00 "დღის ამბები"
09.20, 13.40, 17.15, 19.10, 20.50, 22.00, 23.50 მუსიკა
09.30 მულტფილმი "ალექსი" მე-10 სერია
10.00, 15.00 "დილა"
11.45 "ევროპის სტადიონებზე"
12.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 64-ე სერია
12.45 საუბრები სტუდიაში
13.55 დოკ. სერიალი "მსოფლიო ფერწერის ისტორია"
16.45 მხ. ფილმი "რიტმი"
17.30 ქართ. მხ. ფილმი "სხვისი შვილები"
19.00 მაცაცერა
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 სად? რა? როდის?
21.05 მულტფილმი "ცეროდენა და ნამცეცა"
22.15 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა - 2"
00.10 მხ.ფ. "მარკო პოლო".
01.50 "ქართული ხმები სცენასა და სცენის მიღმა"

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "ჩვილის გასეირნება"
11.05 ტელესერიალი "დედოფალი მარგო"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ერთგული მეგობრები"
13.50 მელოდრამა "ესენია"
16.15 მულტფილმი "ნიღაბი"
17.00 კომედია "მკვლელობა ბროს-პოინტში"
19.20 ტელესერიალი "დედოფალი მარგო"
20.10 თრილერი "ჰაერის ძალიშვილი"
22.00, 00.00 "დღეს"
22.20 Новости в воскресенье
22.50 დოკუმენტური ფილმი
00.30 ისტორიული ფილმი "პირველი რაინდი"
03.30 მელოდრამა "ჰილარი და ჯეკი"

VII არხი

17.00, 19.30, 01.30 ანონსი
17.15,21.50 ამინდის პროგნოზი
17.20 "ლა-ლა-ლა"
18.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი
18.45 "აჩიკუდა" (შესვენებისას)
20.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი
21.50 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
22.20 "ავტოტრეკინგი"
23.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
23.30 "კინოკლუბი" - "არაბი ლორენცო"-მე-2 სერია.
00.50 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.45 მელოდია
02.15 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
02.30 პრესის მიმოხილვა

ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости.
08.10 Мультфильм
08.25 Утренняя звезда
09.20 Служу России
09.45 "Тимон и Пумба"
10.05, 16.10 "Ералаш"
10.10 "Дог-шоу"
11.10 Непутевые заметки с Дм.Крыловым.
11.30 Пока все дома.
12.05 Сами с усами
12.35 х.ф. "ИГРА В ЧЕТЫРЕ РУКИ"
14.30 Дисней-клуб: "Русалочка"
15.15 "Жизнь замечательных людей" Юрий Любимов
16.00 Док.фильм "Микрокосмос"
16.20 "Знатоки" "ПОЛУДЕННЫЙ ВОР"
19.00 Времена
20.05 х.ф. "ДЕТИ ШПИОНОВ"
21.50 х.ф."АРМАГЕДДОН"
02.15 х.ф. "ВТОРАЯ ЖИЗНЬ".

РТР

07.15 х.ф."ПРОЩАЙТЕ, ГОЛУБИ!".
08.45 "Дракоша и компания". Детский сериал.
09.10 "Русское лото".
10.00 Всероссийская лотерея "ТВ Бинго шоу".
10.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ.
11.15 "Утренняя почта".
11.50 "Городок". Дайджест.
12.20 х.ф "МАКСИМ ПЕРЕПЕЛИЦА".
14.10 "Парламентский час".
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Вокруг света".
16.15 "Диалоги о животных".
17.05 "Два рояля".
18.05 "Комната смеха".
19.00 х.ф. "ЛУЧШИЙ ДРУГ"
20.50 "В "Городке".
21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ.
22.10 "Специальный корреспондент"
22.40 Иосиф Кобзон "Лучшие песни". Юбилейный концерт.
02.15 Чемпионат мира по автогонкам в классе "Формула-1". Гран-при США.

НТВ

08.30 "Star старт"
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
09.05 "БОЛЬШАЯ ЗЕМЛЯ"
10.25 Без рецепта
10.55 Погода на неделю.
11.05 "Новейшая история"
12.05 "Растительная жизнь".
12.40 "Вы будете смеяться!" Ян Арлазоров.
13.05 "Професия-репортер"
13.25 Служба спасения.
14.05 "РУССКИЙ СЧЕТ"
15.45 Вкусные истории.
16.05 Своя игра.
17.20, 18.05 Ток-шоу. "Принцип "Домино".
19.05 "Совершенно секретно"
19.50 "ПРИНЦЕССА НА БОБАХ"
22.00 "Намедни"
23.30 "КРОКОДИЛ" (США)
01.35 "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА".
02.25 Журнал лиги чемпионов.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.